აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№4 (25.132) 2 თებერვალი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, მთიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 767 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

თორნიკე რიჟვაძე რობინ დანიგანს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რობინ დანიგანს შეხვდა. ინფორმაციას უწყების პრესსამსახური ავრცელებს

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ ურთიერთობას. აღინიშნა, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობა უმაღლეს ნიშნულზეა და ეს თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია ორი ქვეყნის ინტერესების, ასევე რეგიონისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის.

ისაუბრეს საქართველოს მისწრაფებაზე ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. მხარეებმა მიმოიხილეს ამ მიმართულებით უკვე მიღწეული პროგრესი და განსახორციელებელი გეგმები.

ელჩთან შეხვედრას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანიც ესწრებოდა.

საკრებულომ ქალაქის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები დაამტკიცა

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის პირველი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დრო დეპუტატების შენიშვნებს დაეთმო

დეპუტატებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული მეეზოვის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა აკაკი გვიანიძემ მეეზოვეების რთულ პროფესიაზე ისაუბრა და მათი ხელფასების გადახედვისა და გაზრდის ინიციატივით გამოვიდა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა ნაზი ფუტკარაძემ კი ქალაქის გარეუბნებში მოუწესრიგებელ საგზაო ინფრასტრუქტურასა და გარეგანათების პრობლემებზე ისაუბრა. ოპოზიცია მმართველ გუნდში ბოლო დროს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებსაც შეეხო და ახალი პრემიერის კანდიდატურა უარყოფითად შეაფასა.

საკრებულომ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და გეგმა დაამტკიცა, ასევე, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური საფასური. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქ. №N102-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი, შემდგომში მისი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა.

განკარგულების პროექტები დეპუტატებს მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსმა დავით კოპინაძემ გააცნო.

დეპუტატების შენიშვნაზე, შეიძლებოდა თუ არა მიწის დამოუკიდებლად განკარგვა, დავით კოპინაძემ განმარტა, რომ მიწის

კონფიგურაციითაც დგინდება, რომ მისი ცალკე განკარგვა ვერ მოხდებოდა.

- სხდომაზე შენიშვნა გამოითქვა სახელმწიფოსთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე, რომელიც დაურეგისტრირებელია და ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მომიჯნავედ მდებარეობს და დამოუკიდებლად არ შეიძლებოდა მისი განკარგვა. ამიტომ სახელმწიფოსთან განახორციელა შუამდგომლობა, რომ ჩვენ, ანუ მერიას გადაგვეცა სახელმწიფოსთვის, რომელიც შემდგომ, სარგებლობის უფლებით გადასცემს სამხარაულის ბიუროს, - განაცხადა დავით კოპინაძემ.

საკრებულომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობებიც დაამტკიცა. მერიის ადმინისტრაციის უფროს ნუკრი დეკანაძის განმარტებით, მისი მიზანი მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს შესათანხმებელი გამწვანების პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული გამწვანების პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრაა. დამტკიცდა, ასევე, ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობები. სიაშია იფანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, მუხა, ფიჭვი, სოჭი, ხეტიტა, კვიპაროსი, ტირიფი, ვერცხლისფერი ევკალიპტი, მაგნოლია, კამელია, წითელი ტყემალი და სხვა. ასამდე სახეობის ხემცენარე გაალამაზებს ახალ ეზოებსა და ქალაქს.

- დადგენილების მოქმედება ვრცელდება „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებულ გამწვანების პროექტზე, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონებისა, რომლებშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ შესაბამისი ცვლილება 2023 წლის 4 აპრილს შევიდა. ცვლილების მიზანი იყო დასახლებათა მდგრადი განვითარების ხელშეწყობა მშენებლობის დაგეგმარებისა და ნებართვის გაცემის პროცესში, საწყისი ეტაპიდან სავალდებულო წესით გამწვანების კომპონენტის გათვალისწინებით. კოდექსში შეტანილი ცვლილებით, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში წარდგენილ დოკუმენტებში გამწვანების პროექტის, როგორც თანამედროვე, გარემოსდაცვითი სტანდარტების მქონე დოკუმენტის, არსებობა სავალდებულო გახდა. საქართველოს მთავრობამ, კანონით გათვალისწინებულ ვადაში, 2023 წლის პირველ ოქტომბრამდე, უზრუნველყო საქართველოს მთავრობის დადგენილებების ზემოხსენებულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. დღევანდელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება სწორედ ადგილობრივ დონეზე გამწვანების პროექტის აღსრულების მექანიზმის დანერგვას უკავშირდება, - განაცხადა ნუკრი დეკანაძემ.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში, იმედაიშვილის ქ. №22-ში მდებარე სახლზე - საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორ დუგლას ზამთარაძის, მემედ აბაშიძის ქ. №53-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე-პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის მუსტაფა ჩახვაძის, რუსთაველის ქ. №10-ში მდებარე სახლზე კი ექიმის, მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის, რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფები განთავსდება.

- საკმაოდ მშვიდ გარემოში გაიმართა წლის პირველი სხდომა, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებული შვიდი საკითხი განვიხილეთ და დავამტკიცეთ. ვფიქრობ, საინტერესო წელი გვექნება და ერთობლივად ჩვენი ქალაქის და მოსახლეობისთვის სასიკეთო ბევრი საქმე გადაწყდება. ვიმედოვნებ, ასეთ მშვიდ გარემოში გაგრძელდება საკრებულოს მუშაობა მომავალშიც, - აღნიშნა „აჭარასთან“ საუბარში საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ერთი მაგიდის ირგვლივ – ევროკავშირში გასაწევრიანებლად

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

როგორც ცნობილია, ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა და, ამავდროულად, ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით, 9 დათქმა დაუწესა. 29 იანვარს მთავრობამ ოპოზიციასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ევროკავშირის 9 დათქმის განხილვასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა. არასამთავრობო სექტორიდან შეხვედრას „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის“ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აღნიშნულ შეხვედრაზე არ იმყოფებოდნენ აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც მოგვიანებით პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს კიდევ ერთხელ მიმართეს განცხადებით და შემდეგ შეხვედრაზე დასწრება მოითხოვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეხვედრას არ დაესწრო „ლელო“, რასაც მოჰყვა კრიტიკა როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებისგან. „ლელოს“ წევრი ანა ნაცვლიშვილი იმ დღეს პარლამენტში მხოლოდ იმის სათქმელად მივიდა, რომ „ლელო“ არ დაესწრებოდა შეხვედრას და აღნიშნულ პარტიას 9 დათქმის შესასრულებლად საკუთარი გეგმა ჰქონდა. „ლელოს“ განცხადებით, გადაუდებლად და სასწრაფოდ საჭიროა რეალური გეგმის შეთავაზება საზოგადოებისთვის. მათივე თქმით, სწორედ „ლელოს“ „9 ნაბიჯი ევროპისკენ“ არის რეალური გზამკვლევი და გეგმა ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. „ლელოს“ ქმედება მამუკა მდინარაძემ შეაფასა. მისი თქმით, „ლელო“ ცდილობს, რომ „ნაცებზე“ უფრო „ნაცი“ გამოჩნდეს, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ კლასტერი არის ერთი“. გარდა ამისა, მამუკა მდინარაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ოპოზიციას ერთი წინადადებაც კი არ აქვს იმასთან დაკავშირებით, რა შემხვედრი ნაბიჯი შეიძლება მათი მხრიდან გადაიდგას და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვედრაზე ისეთი არაფერი უთქვამთ, რომ ოდნავ მაინც დასაჯერებელი ყოფილიყო. მთავრობაში აღნიშნავენ, რომ ოპოზიციის ყველა შეთავაზებას განიხილავენ და მათ აზრსაც გაითვალისწინებენ.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ ევროკავშირის 9 რეკომენდაციაზე საუბრისას პარლამენტში მიმდინარე სამუშაო შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით შთაბეჭდილება იყო პოზიტიური.

„ცალკეული საკითხები იყო კრიტიკულად დასმული, გაანალიზებული და შესაბამისი მცდელობაც იყო, რომ გარკვეული საუბარი შემდგარიყო გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ამ შეხვედრასთან დაკავშირებით შთაბეჭდილება არის პოზიტიური. მიუხედავად იმისა, ვის რამდენად ეხალისებოდა დილით ადრე ადგომა, ეს არის კარგი შესაძლებლობა, რომ ყველას, ვისაც ჩართულობის სურვილი აქვს, იყოს ჩართული და ევროკავშირის რეკომენდაციებზე მუშაობის პროცესში წვლილი შეიტანოს“, - აღნიშნა სარჯველაძემ.

რაც შეეხება ოპოზიციის წარმომადგენლებს, ისინი ფიქრობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ რეკომენდაციების შესრულების პირი არ უჩანს. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დავით ხაჯიშვილმა თქვა, სამუშაო შეხვედრა იყო „წყლის ნაყვა“ და არავითარი შედეგის მომცემი.

შემდეგი შეხვედრა ევროკავშირის 9 რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით მომდევნო კვირას გაიმართება.

რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით და როგორ აფასებენ „ლელოს“ გადაწყვეტილებას? გთავაზობთ კომენტარებს.

ტიტე აროშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

- ევროკავშირის რეკომენდაციები არის ძალიან მნიშვნელოვანი და შესაბამისად, მათ შესასრულებლად ჩართულობაც ძალიან მნიშვნელოვანია. ცალსახაა, რომ ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს აღნიშნული 9 რეკომენდაციის მაქსიმალური ეფექტურობით შესასრულებლად. ამისთვის საჭიროა კონსულტაციები არასამთავრობოებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და მედიასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიცია ცდილობდა, არათუ არ შესრულებულიყო რეკომენდაციები, არამედ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსიც არ მიგვეღო და დღესაც ნათლად გამოჩნდა, რომ ოპოზიციური პარტიებიდან „ლელო“ საერთოდ არ ინტერესდება აღნიშნული საკითხით. „ლელოზე“ ყოველთვის ვამბობდით, რომ მჭიდრო ურთიერთობა აქვს რადიკალურ ოპოზიციასთან და ეს ის პარტიაა, რომელიც საქართველოში დესტაბილიზაციით არის დაკავებული. ყველასთვის გასაკვირია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ შეხვედრაში და „ლელომ“ აბსურდული მიზეზით უარი განაცხადა, თითქოს მათ უკეთესი ვარიანტები აქვთ ევროკავშირის 9 რეკომენდაციის შესასრულებლად, ვიდრე სახელისუფლო გუნდს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როდესაც ჩვენ შევასრულებთ იმ რეკომენდაციებს, რომელიც დაკისრებული გვაქვს. რადიკალურ ოპოზიციას არ აწყობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება და ამას ამტკიცებს კიდეც. ეს რეკომენდაციები ისედაც თითქმის შესრულებულია, უბრალოდ, მითითებული გვაქვს, რომ უნდა დავხვეწოთ და ზოგიერთ კანონში გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ. ოპოზიციამ რაც უნდა ფასადურად იძახოს, რომ მათ ევროპული კურსი აქვთ, ვფიქრობ, ნათლად გამოჩნდა, ვის აქვს რეალურად ევროპული კურსი და ვის - არა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ის 9 პუნქტი, რომელიც მოცემული გვაქვს ევროკავშირის მხრიდან, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და ყველა პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ სწორად და დროულად შევასრულოთ აღნიშნული პუნქტები, რათა მოვემზადოთ შემდგომი სერიოზული ნაბიჯებისათვის ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე.

ბია აბულაძე, პარტია „საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის წარმომადგენელი:

- გახარიას გუნდი ვამბობდით, რომ მონაწილეობას მივიღებდით ნებისმიერ ფორმატში, რომელიც იქნებოდა შემოთავაზებული და არ მივცემდით ხელისუფლებას იმის თქმის საშუალებას, რომ ოპოზიცია დესტრუქციულია. ასე მოვიქეცით შარშან და გავაგრძელებთ ამ გზას. უფრო მეტიც, პარტიამ მთავრობას და პარლამენტსაც ოფიციალური წერილით მიმართა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკაშირებით ხედვაც წარუდგინა. ჩვენი გუნდის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რათა დასავლელ პარტნიორებს დავანახოთ, რომ ამ ქვეყანაში კონსტრუქციული და პასუხისმგებლიანი პოლიტიკური პარტიები

იხ. მე-5 გვ.

კვირის ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან ერთად, „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ ფარგლებში, გამარჯვებულ პედაგოგებს შეხვდა. ამ პროექტის მიზანი მასწავლებელთა საქმიანობის მხარდაჭერა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში საკლასო აქტივობების გამრავალფეროვნების ხელშეწყობაა. აჭარის მთავრობის ინიციატივით, პედაგოგების მხარდაჭერის პროგრამა რამდენიმე თვის წინ დაანონსდა და პროექტის განსახორციელებლად 600 ათას ლარამდე გამოიყო. პედაგოგები, რომლებიც დანერგავენ დამატებით წამახალისებელ აქტივობებს და სწავლების ინოვაციურ მეთოდებს მოსწავლეებისთვის, ყოველთვიურად მიიღებენ 500-ლარიან დანამატს. კონკურსის ფარგლებში, განსაზღვრული კრიტერიუმებით, 2023 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, აჭარის განათლების სამინისტროში შევიდა 300-მდე განაცხადი და კომისიამ 61 პროექტი შეარჩია, რომლის განხორციელება თებერვლიდან დაიწყება. კონკურსის მეორე ეტაპზე საპროექტო განაცხადები მიიღება 2024 წლის 1 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით და გაიზრდება დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობაც.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიყვაძის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური განვითარების საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე მთავრობის განკარგულების ფარგლებში ბიზნესის ხელისშემწყობი ღონისძიებების, ასევე 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და დაგეგმილი პროგრამების შესახებ იმსჯელეს. საბჭოს წევრებმა განიხილეს მიმდინარე დადებითი ეკონომიკური ტენდენციები. ასევე, განიხილეს ციტრუსის ექსპორტისა და გადამუშავების შედეგები. დღევანდელი მონაცემებით, ექსპორტირებულია 25 მლნ აშშ დოლარის ღირებულების - 38 800 ტონა, ხოლო გადამუშავებულია 12 070 ტონა ციტრუსი, რომლის სახელმწიფო სუბსიდია შეადგენს 3 მლნ ლარს.

* * *

2024 წელს, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხო საცხოვრისის შესაძენად ბენეფიციარი ოჯახის თანადაფინანსება მის მიერ შერჩეული საცხოვრებელი ფართის შესაძენად, 50 000 ლარამდე გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს. „აჭარის მთავრობის ინიციატივით, მიმდინარე წელს თითოეულ ეკომიგრანტ ოჯახზე გაიზარდა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების წილი 50 000 ლარამდე, 2023 წელს აღნიშნული თანხა 40 000 ლარს შეადგენდა. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2016 წელს და მაშინ თანადაფინანსების წილი 25 000 ლარი იყო. დღეს ვიმყოფებით ბათუმის იუსტიციის სახლში, სადაც 11 ეკმიგრანტ ოჯახს საკუთრებაში ურეგისტრირდება მათ მიერ მოძიებული საცხოვრებელი სახლები“, - თქვა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

* * *

სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული 56 ოჯახის, მათ შორის, 5 ხანძრის და 51 სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარების საკითხი განიხილეს. სხდომას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე ხელმძღვანელობდა. კომისიის რეკომენდაციით და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიყვაძის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ ოჯახებს საცხოვრებელი ფართების აღდგენა-გამაგრების ან ადგილმონაცვლეობისათვის, აჭარის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ჯამში 601 405 ლარი გამოეყოფათ.

* * *

ქვედა სალიბაურში, სადაც წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა არ არსებობდა, ახალი ქსელი შენდება. მოსახლეობა ამ დრომდე ჭაბურღილებითა და წყაროს წყლით სარგებლობს. როგორც „ბათუმის წყლის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალმომარაგების ახალი ქსელით დაახლოებით 30 ოჯახი ისარგებლებს. კომპანიის ინფორმაციითვე, წყალმომარაგების ახალი ქსელის მშენებლობა გრძელდება ხელვაჩაურის მიმართულებით. ამჟამად სამუშაოები ივანე მესხის ქუჩაზე მიმდინარეობს. აღნიშნულ მისამართზე წყალმომარაგების ახალი ქსელით დაახლოებით 100 ოჯახი ისარგებლებს.

* * *

ახალქალაქში, ყვარელში, მარტვილსა და ხულოში დიალიზის სერვისი ამოქმედდა. ბენეფიციარებს პროცედურის ჩასატარებლად, კვირაში რამდენჯერმე, კილომეტრების დაშორებით, სხვადასხვა ქალაქში უწევდათ გადაადგილება, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამიერიდან ბენეფიციარები სერვისს მათსავე ქალაქში, საცხოვრებელ სახლებთან ახლოს მიიღებენ. ინფორმაციას დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, სამედიცინო დაწესებულებები დიალიზისთვის საჭირო აპარატურით სრულად აღიჭურვა. ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე პირებს სათანადოდ გადამზადებული მედპერსონალი ყოველდღიურად მოემსახურება. „ახალქალაქის, ყვარლის, მარტვილისა და ხულოს შემდეგ, დიალიზის სერვისის მიღება უახლოეს მომავალში ჭიათურაში, სენაკში, საგარეჯოში, ტყიბულში, წალენჯიხაში, ცაგერში, წნორსა და დედოფლისწყაროშიც იქნება შესაძლებელი,“ - ვკითხულობთ ინფორმაციაში.

* * *

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის მართვის ქვეშ არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების, დეტალური დათვალიერების შედეგად, მალულად განთავსებული, ოთხ შეფუთვად დაფასოებული, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (ჯამში: 1403.28 გრამი) აღმოაჩინეს. ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს. მათივე ცნობით, არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებამ 142 418.84 ლარი შეადგინა. საქმის მასალებიდ შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

მმართველი პარტია და ოპოზიცია – გამოწვევების პირისპირ

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველო, დამოუკიდებლობის ამ პერიოდში, შეიძლება ითქვას, საინტერესო პროცესშია: დასავლეთთან დაახლოების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის წინაშე შესაძლებლობების ფანჯარა იხსნება, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭება ამის თვალსაჩინო მაგალითია, ხოლო საპარლამენტო არჩევნები ერთგვარი ბარომეტრი იქნება - საქართველოს ან დააახლოებს დასავლეთთან, ან ანტიდემოკრატიული ქვეყნების სიაში აღმოჩნდება, რაც გათვითცნობიერებული აქვთ როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას. როგორც აცხადებენ, ყველაფერს გააკეთებენ არჩევნების ევროპული სტანდარტებით ჩასატარებლად

*აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებლობებთან ერთად გამოწვევებიც ვლინდება არა მხოლოდ რუსეთის მხრიდან, არამედ საშინაო პოლიტიკის კუთხითაც - ურთიერთდაპირისპირება პოლიტიკოსებს შორის, პოლარიზაცია... შეიძლება თამამად ითქვას, რომ არაოფიციალურად საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. რა მდგომარეობაა ახლა ქვეყანაში, რას უნდა ველოდოთ, რეალურად ვის რა შანსი აქვს საარჩევნოდ? - ამის თაობაზე „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ლიდერ **ბეჟა დიასამიძეს** ვესაუბრეთ.*

- ქვეყანაში საინტერესო პოლიტიკური პროცესები ვითარდება. დავიწყოთ უმთავრესით: რატომ დაუბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკას?

- ივანიშვილის პოლიტიკაში „დაბრუნება“ იმის მანიშნებელია, რომ მას შიში აქვს. აღარაფერს ვამბობ შიდაპარტიულ დაპირისპირებასა და კორუფციაზე, რაზეც თავად ისაუბრა. ჩემი აზრით, დაუმძიმდათ დასავლეთის პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობა და შესაძლოა, კრემლში მისი მფარველებისგანაც აღარ მოდიოდეს ისეთი კეთილგანწყობა, როგორიც ადრე იყო.

- ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ ივანიშვილმა მმართველ პარტიაში გარკვეული წმენდა განახორციელოს...

- ნამდვილად არ უნდა გამოვრიცხოთ. შემთხვევითი არ იყო წესდებით საპატიო თავმჯდომარის პოსტის შემოღება, რომელსაც პრემიერის კანდიდატურის დასახელება შეუძლია. ამით „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებულ მხარეებს უთხრა, რომ ქვეყნის მართვის ბერკეტები ისევ მის ხელშია და არ მოითმენს მათი მხრიდან თუნდაც უმნიშვნელო თვითნებობას.

- მთავრობაში სიახლეა - ღარიბაშვილს ირაკლი კობახიძე შეცვლის. თქვენი აზრი - ამის შესახებ.

- ეს არაფერს შეცვლის. ვფიქრობ, ივანიშვილი ამ ეტაპზე ჯერ კიდევ დაკვირვების პროცესშია, რაც მას ყველაზე კარგად გამოსდის. თუ აქამდე ინფორმაცია მის ყურამდე მხოლოდ სამი კაცის პირით აღწევდა, ახლა, როცა კვლავ საჯაროდ „გამოჩნდა“, მეტი კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს გუნდის დანარჩენ წევრებს, რათა თავისი სათქმელი უშუალოდ მას უთხრან და არა - შუამავლის მეშვეობით. პარტიაში მისი შიში რომ ჰქონდეთ, ივანიშვილს აუცილებლად მოუწევდა ვიღაცის დასჯა.

- სხვათა შორის, ექსპერტები აცხადებენ, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება მმართველი პარტიის რეიტინგს გაზრდის, რასაც ოპოზიცია სათანადოდ ვერ აანალიზებს.

- ამისთვის მას ბევრად მეტი ძალისხმევა დასჭირდება, ვიდრე, უბრალოდ, „დაბრუნებაა“. დიდი იმედგაცრუებაა ხალხში მთავრობის უნიათობისა და ქვეყანაში უპერსპექტივობის განცდის გამო.

- ურთიერთბრალდებები ქართულ პოლიტიკაში არახალია. მმართველი პარტია ოპოზიციას ქვეყნის დესტაბილიზაციაში ადანაშაულებს. რამდენად საფუძვლიანია მათი განცხადებები ამ მიმართებით?

- თუ ვინმე დესტაბილიზაციას აწყობს ქვეყანაში, ეს მმართველი ძალაა. საბოტაჟს რომ უწყობ საკუთარი ქმედებებით და პოლარიზაციის პოლიტიკით ქვეყნის ევროპულ მომავალს, რომელსაც შენი მოქალაქეების 90% უჭერს მხარს, სხვა რა უნდა დავარქვათ, პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის გარდა?

- როგორც ცნობილია, თქვენმა პარტიამ და „ნაცმოძრაობამ“ პლატფორმა შექმენით...

- ძალიან მნიშვნელოვანია, პროორუსულ ძალა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე დასავლური ღირებულებების მატარებელი პოლიტიკური ძალების ერთობა დავუპირისპიროთ. 2024 წელი მხოლოდ მორიგი არჩევნების წელი არ არის. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიიღონ ისტორიული გადაწყვეტილება - მხარს დაუჭერენ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ დარჩეს რუსეთის უკანა ეზოდ (სადამდეც ივანიშვილმა მიგვიყვანა), თუ პროგრესული დემოკრატიული ცივილიზაციის სრულუფლებიანი ნაწილი გახდეს, გაწევრიანდეს ევროკავშირსა და ნატოში.

- მმართველი პარტიის წევრების განცხადებით, „სტრატეგია აღმაშენებელი“ იმიტომ დაუკავშირდა „ნაცმოძრაობას“, რომ ბარიერს ცალკე ვერ გადალახავდა.

- თუ საქართველოს უახლოეს ისტორიას გადავხედავთ, ჯერ არცერთი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში პოლიტიკური გაერთიანების გარეშე არ მოსულა. თავად „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს პარლამენტში უმრავლესობა 6 პარტიასთან კოალიციით მოიპოვა, ასე რომ, აქ არაბუნებრივი არაფერია. სამწუხაროდ, მმართველ ძალას დაავიწყდა საკუთარი წარსული და ძველი თანამებრძოლი პარტიებიც.

- ნიკა მელიამ ახალი პარტიის შექმნა დააანონსა. რა პერსპექტივა ექნება მას?

- ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი დიდია, მათ შორის არიან ისეთი ამომრჩევლები, რომლებიც ან არ მონაწილეობენ კენჭისყრაში, ან დღეს მოქმედ ოპოზიციურ პარტიებს მხარს არ უჭერენ. თუ მელიას პარტია მიიმხრობს და მობილიზებას გაუკეთებს ასეთი ამომრჩევლების სეგმენტს და პოლიტიკურ თამაშში ჩართავს ივანიშვილის წინააღმდეგ, ეს მხოლოდ მისასალმებელია. თუ მსგავსი რამ არ მოხდა, მაშინ გაუგებარია ნიკას წასვლა „ნაციონალური მოძრაობიდან“.

> ***„ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი დიდია, მათ შორის არიან ისეთი ამომრჩევლები, რომლებიც ან არ მონაწილეობენ კენჭისყრაში, ან დღეს მოქმედ ოპოზიციურ პარტიებს მხარს არ უჭერენ. თუ მელიას პარტია მიიმხრობს და მობილიზებას გაუკეთებს ასეთი ამომრჩევლების სეგმენტს და პოლიტიკურ თამაშში ჩართავს ივანიშვილის წინააღმდეგ, ეს მხოლოდ მისასალმებელია. თუ მსგავსი რამ არ მოხდა, მაშინ გაუგებარია ნიკას წასვლა „ნაციონალური მოძრაობიდან“***

- ამას წინათ „ედისონ რისერჩმა“ მორიგი სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა, რომლის თანახმადაც მმართველი პარტიის რეიტინგი 35 პროცენტია, „ნაცმოძრაობის“ - 21, გახარიას პარტიის - 9, „ლელო საქართველოსთვის“ - 6. რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის შექმნა?

- არჩევნებამდე რვა თვეა დარჩენილი. მერწმუნეთ, ჩვენი მოქალაქეების პრეფერენციები პოლიტიკური პარტიების მიმართ რამდენიმეჯერ შეიცვლება, რადგან საკმაოდ ცხელი წინასაარჩევნო პერიოდი გველოდება.

- დროდადრო უარესდება საქართველოს პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის ურთიერთობა. შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილმა ახალი ოპოზიციური პლატფორმაც შექმნას. რამდენადაა მოსალოდნელი, მან საკაშვილი შეიწყალოს?

- ძნელი სათქმელია, საკაშვილის შეწყალებაზე რა გადაწყვეტილებას მიიღებს ზურაბიშვილი, რადგან, აი, თქვენ ახლა ახსენეთ ახალი ოპოზიციური ველის შექმნა და... „გამარჯვების პლატფორმასთან“ ამის თაობაზე კონსულტაციაც კი არ ჩატარებულა მოქმედი პრეზიდენტის მხრიდან. შესაბამისად, ამის მოლოდინი პირადად მე ნაკლებად მაქვს, მაგრამ არჩევნებამდე შეიძლება პოლიტიკური მოცემულობა ისე შეიცვალოს ქვეყანაში, რომ სააკაშვილის შეწყალების გადაწყვეტილებაც ვიხილოთ.

- 2021 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადყო, რომ ამომრჩევლის დიდი ნაწილი ინდიფერენტულია. რას აკეთებს ოპოზიცია ამ მიმართებით?

- საჭიროა მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია, მეტი მუშაობა ველზე, მათი დარწმუნება, რომ ძალა და სიმართლე ოპოზიციის მხარეს არის. ვერ ავიხდენთ ევროსტრუქტურებში გაწევრიანების ისტორიულ საწადელს, თუ პრორუსული „ქართული ოცნება“ თავიდან არ მოვიცილეთ.

- 2024 წლის არჩევნებისგან სიურპრიზებს ელით?

- „ქართული ოცნება“ ყოველთვის, ყველა არჩევნებზე სიურპრიზებით „გვანებივრებდა“ და ვფიქრობ, არც მორიგ ჯერზე უღალატებს ტრადიციას. საჭიროა, ყველა ოპოზიციური პარტია ხალხთან ერთად დავდგეთ და დავიცვათ ერთმანეთის ხმები, მაშინ ვერ მოახერხებს ოლიგარქი არჩევნების გაყალბებას და რომც გააყალბოს, ვერ შეინარჩუნებს მიტაცებულ ხელისუფლებას.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. ეს რა პერსპექტივებს უსახავს ჩვენს ქვეყანას ეკონომიკური განვითარების კუთხით?

- პერსპექტივები დიდია როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკასა და თავდაცვის სფეროში, მაგრამ მათ გამოყენება სჭირდება. ამ ხელისუფლების პირობებში ეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

- რა სტადიაშია რუსეთ-უკრაინის ომი?

- რუსეთი აგებს ამ ომს. პუტინს მხოლოდ იმის იმედი აქვს, რომ კოლექტიურ დასავლეთს მობეზრდება უკრაინის ომი და დახმარებას შეწყვეტს ან მისი ყურადღება სხვა გამოწვევებისკენ გადაინაცვლებს, მაგრამ თუ დასავლური სამყაროო სუვერენულ უკრაინულ სახელმწიფოს რუსი ოკუპანტის პირისპირ მარტო არ დატოვებს, ყველაფერი კარგად იქნება.

- დაბოლოს, მიმდინარე წელი რამდენად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- 2024 წელი არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს დიდ ნაწილში გადამწყვეტი არჩევნების წელია, რომლის შედეგებიც კაცობრიობის პოლიტიკურ მომავალზე მნიშვნელოვნად აისახება. საქართველო რა პოზიციას დაიკავებს: ცივილური სამყაროს გვერდით დადგება, თუ - ავტოკრატიული რეჟიმების, ამაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხო მომავალიცა და კეთილდღეობაც.

საკადრო ცვლილებები მთავრობაში – რას ფიქრობენ პოლიტიკოსები?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ცვლილებები მთავრობაში ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომით და ირაკლი კობახიძის პრემიერად დანიშვნით დაიწყო

29 იანვარს ტელეკომპანია „იმედმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პარტია „ქართული ოცნების“ მოქმედი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრის პოსტზე იქნებოდა წარდგენილი, ხოლო უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებდა.

მოგვიანებით ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ პრემიერის თანამდებობას ტოვებდა, თუმცა „ქართულ ოცნებაში“ რჩებოდა. მან ისიც დაადასტურა, რომ პარტიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განაგრძობდა მუშაობას ქვეყნის წინსვლისთვის.

პირველი თებერვალს „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი კობახიძის კანდიდატურა ოფიციალურად წარადგინა. ყრილობაზე დელეგატებმა კობახიძის კანდიდატურას მხარდაჭერა ერთხმად გამოუცხადეს. ამის შემდეგ პროცესები პარლამენტში გადაინაცვლებს და საკანონმდებლო ორგანოს 2-კვირიანი ვადა ექნება ახალი მინისტრთა კაბინეტის დასამტკიცებლად.

რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით, გთავაზობთ კომენტარებს.

კახა მიჭელაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

- მიუხედავად ცვლილებების კომიკური შინაარსისა, არის მასში აღმაშფოთებელიც. კერძოდ: ივანიშვილი მთელ საქართველოს გვეუბნება, რომ „გავრილოვის საქმის“ მთავარი დამნაშავის გადადგომა არა პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავდა, არამედ სიტუაციის განმუხტვას და ვნებათაღელვის გადაგორებას ემსახურებოდა მხოლოდ. ივანიშვილი ამ გადაწყვეტილებით ღიად და დაუფარავად იწვევს ჩვენს მოქალაქეებს ორთაბრძოლაში, იმ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრება გაუსაძლისად დაუმძიმა, რომლებიც ქვეყნიდან გარბიან, სიცოცხლის გადასარჩენად უმძიმეს შრომას არ თაკილობენ, უმუშევრობისა და გაზრდილი ფასების წნეხს განიცდიან.

იხ. მე-9 გვ.

არანაირი „ჩაბეტონება“ არ იქნება

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ბათუმელებისა და ქალაქის სტუმრებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი ბათუმის ბულვარი, რომელმაც 1878 წლიდან დღემდე განვითარების ბევრი ეტაპი გაიარა, კვლავაც რჩება ქალაქის მთავარ სავიზიტო ბარათად

ზღვისპირა პარკის სიგრძე 7 კილომეტრია. იგი ყველაზე გრძელი ბულვარია შავი ზღვის სანაპიროზე. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მოიცავს ბაღებს, ხეივნებსა და სკვერებს, ველობილიკს, 4 ისტორიულ ხეივანს სხვადასხვა პერიოდში დარგული ხემცენარეებით. აქ განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორი ***ლაშა მიქელაძე*** *გვესაუბრება.*

- შარშანდელ მუშაობას როგორ შეაფასებთ?

- ბათუმის ბულვარი ყველაზე გამორჩეული ტურისტული ლოკაციაა. მინდა აღვნიშნო, რომ გასული წელი საკმაოდ ნაყოფიერი და დატვირთული იყო სიახლეებით. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მწვანე საფარისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის სამუშაოები. ბულვარი საკმაოდ დიდია და ყველაფერი იდეალურად ვერ იქნება, გვაქვს რიგი გამოწვევები, თუმცა ვცდილობთ, ძალისხმევა არ დავიშუროთ და მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ბაღის ისტორიული იერსახე კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების დაცვით. რა თქმა უნდა, ვზრუნავთ, გავაუმჯობესოთ საბაღე ინფრასტრუქტურა, სერვისები, გავამრავალფეროვნოთ ლანდშაფტი და ჩვენს სტუმრებს შევთავაზოთ მაქსიმალურად კომფორტული და უსაფრთხო რეკრეაციული გარემო. როგორც მოგეხსენებათ, აქტიურად ვემზადებით ახალი ტურისტული სეზონისთვის. პროექტების მასშტაბურობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, ხაზგასასმელია „სკეიტ და როლერპარკის“ მოწყობა, რომლის მშენებლობაც შარშან ახალ ბულვარში დაიწყო. თითოეული პროექტის განხორციელებისას ვხელმძღვანელობთ განაშენიანების გეგმით, რომელიც ბათუმის საკრებულომ 2022 წლის 24 აგვისტოს დაამტკიცა. პროექტის უნიკალურობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ მის მონიტორინგსა და ზედამხედველობას განახორციელებს მსოფლიო სკეიტბორდის ფედერაცია. სამუშაოების დასრულების შემდეგ მოგვეცემა ლიცენზია, რომ ახალი ბულვარის ამ ლოკაციაზე ჩავატაროთ როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიო დონის ჩემპიონატები. აღსანიშნავია, რომ ამ პარკის ანალოგი არ იქნება კავკასიის რეგიონში, მსოფლიო მასშტაბით კი ოცეულში შევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.

- როგორ ცნობილია, ახალი ბულვარის ტერიტორია, სადაც ეს პროექტი უნდა განხორციელდეს, ბოლო დროს განვითარებული სტიქიის შედეგად საკმაოდ დაზიანდა. შტორმი ხომ არ შეუქმნის საფრთხეს?

- სკეიტპარკი ქუჩის მიმდებარედ, მეორე ხეივანში გაკეთდება, ზღვამდე საკმაო მანძილია და შეუძლებელია, შტორმის დროს ეს ადგილი დაზიანდეს. ამასთან, მიმდებარე ტერიტორიაზე, წრიულამდე, დამცავი ზოლია მოწყობილი.

- ბულვარის განაშენიანების გეგმა ახსენეთ. უფრო დეტალურად რომ გვითხრათ...

- ბათუმის ბულვარი ყველა პროექტს ამ გეგმის მიხედვით ახორციელებს, იგი ჩვენი სახელმძღვანელო დოკუმენტია. სკეიტპარკის პროექტის პარალელურად, შარშან დავიწყეთ და წელსაც გრძელდება სავარჯიშო კუთხეების მოწყობა ძველ ბულვარში, სასტუმრო „კემპინსკის“ მიმდებარედ, სადაც ადრეც იყო სავარჯიშო კუთხე, ამჟამად მიმდინარეობს მისი განახლება. უახლოეს პერიოდში ბულვარს შეემატება თანამედროვე

ტიპის სავარჯიშო კუთხე, სადაც განთავსდება შშმ პირებზე გათვლილი ტრენაჟორები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს კუთხეები გათვლილია 16 წლიდან ზემოთ ასაკის როგორც მოყვარულებზე, ისე პროფესიონალებზე. პრაქტიკულად, ბულვარის ტერიტორიაზე მივიღებთ თანამედროვე ტიპის ღია სპორტმოედნებს და მსურველებს აღარ მოუწევთ ფიტნესდარბაზებში სიარული. ეს სასიამოვნო სიახლე იქნება ყველასთვის. კობალაძის ქუჩის მონაკვეთებზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები ახორციელებენ ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რომლის დასრულების შემდეგაც დავიწყებთ სავარჯიშო კუთხეების მოწყობას.

- ბათუმის ბულვარი ყველასთვის საყვარელი ადგილია და ნებისმიერი უხეში ჩარევა მის განაშენიანებაში მტკივნეულია მოსახლეობისთვის...

- გეთანხმებით, ბათუმის ბულვარი უყვარს ყველას და ამას ცხადყოფს ვიზიტიორების რაოდენობაც. ბევრს, იმის მიუხედავად, რომ საინფორმაციო ბანერიცაა განთავსებული, ჰგონია, რომ სასტუმრო „კემპინსკის“ და ახალ ბულვარში - სასტუმრო „კოლიზეუმის“ მიმდებარედ რესტორანს ან მსგავსი ტიპის კვების ობიექტებს ვაშენებთ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. შემიძლია გაჩვენოთ, როგორი იქნება სავარჯიშო კუთხეების პროექტის დასრულებული ვარიანტი. ფაქტობრივად, მოთხოვნიდან გამომდინარე, ძველს ახლით ვანაცვლებთ და ტრენაჟორების რაოდენობას ვზრდით. მოეწყობა ბავშვების გასართობი მოედანი და საპირფარეშო. ვფიქრობთ, ეს კუთხეები ძალიან მოუხდება ბულვარს, ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. საპროექტო არეალი მოიცავს 800-დან 900 კვადრატულ მეტრამდე ფართობს. ტერიტორიის ნახევარი მწვანე საფარით, დანარჩენი კი, გადაადგილების უსაფრთხოებიდან და კომფორტიდან გამომდინარე, კაუჩუკით მოეწყობა. არც ერთი პროექტი, რომელზეც აუიოტაჟი ატყდა, არ ხორციელდებოდა ძველ ბულვარში. ასეთი ოთხი ლოკაციაა და კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებ, რომ ერთი კობალაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაა, მეორე - გრიბოედოვის ქუჩის,

> ***„სკეიტპარკი ქუჩის მიმდებარედ, მეორე ხეივანში გაკეთდება, ზღვამდე საკმაო მანძილია და შეუძლებელია, შტორმის დროს ეს ადგილი დაზიანდეს. ამასთან, მიმდებარე ტერიტორიაზე, წრიულამდე, დამცავი ზოლია მოწყობილი***

მესამეს მერია ახორციელებს - ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლების მოთხოვნის გათვალისწინებით, მოეწყობა ძაღლებისთვის განკუთვნილი ლოკაცია და სპორტული კუთხე. აქვე დავამატებ: არანაირი „ჩაბეტონება“ არ იქნება. პროექტის ფარგლებში, 1133 კვადრატული მეტრი ფართობიდან მხოლოდ 75 კვადრატზე დაიგება ფილები, დანარჩენზე მწვანე საფარი ნარჩუნდება, უბრალოდ, შემოიღობება, რათა ცხოველებით გადაადგილება უფრო კომფორტული იყოს.

- ბულვარში ჩატარებულ სამუშაოებზე რას გვეტყვით?

- ბულვარის იერსახის მოსაწესრიგებლად არაერთი პროექტი განვახორციელეთ. კერძოდ, ცენტრალურ შემოსასვლელში დაზიანებული ფილები, რაც წლების განმავლობაში პრობლემა იყო, შეიცვალა ახლით. ასევე, განვაახლეთ შადრევნების მუსიკალური რეპერტუარი, სრულად შეიცვალა ამორტიზებული დინამიკების სტერეოსისტემა, იქ არსებულ ქანდაკებებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ასევე, ბულვარის კოლონადების რეაბილიტაცია. პრაქტიკულად, მას პირველად ჩაუტარდა მსგავსი ტიპისა და მასშტაბის სამუშაოები. პროექტი გამოცდილმა კომპანიამ განახორციელა და შედეგიც ჩანს - კოლონადებს დაუბრუნდა პირვანდელი სახე. ძველი ბულვარის ტერიტორიაზე, პლაჟზე, დაწყებულია და წელსაც გაგრძელდება საშხაპეებისა და გასახდელების განახლება და ახალ სეზონს სრულად მომზადებულები შევხვდებით. ინფრასტრუქტურას შეემატება სასმელი წყლის ახალი შადრევნები და საჩრდილობლები.

- არის შენიშვნები სამუშაოების ჩატარების პერიოდთან დაკავშირებით...



- კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სამუშაოების ჩატარება ხშირად ზაფხულში, ტურისტულ სეზონზე გვიწევს. იქმნება დისკომფორტი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ბაღის ვიზიტიორებს.

- მოსახლეობა წლების განმავლობაში კვებისა და სავაჭრო ობიექტების სიმრავლესაც აპროტესტებდა. ვხედავთ, ამ მხრივ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თქვენი აზრით, რა ტიპის ობიექტია დასაშვები ბულვარის ტერიტორიაზე?

- დღემდე ათამდე ობიექტის დემონტაჟი განვახორციელეთ. განაშენიანების გეგმაში კარგადაა გაწერილი, სად და რა უნდა იყოს. ჩვენც მას მივყვებით, რომელიც ძალიან მოცულობითი დოკუმენტია ფიზიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით. ამ ყველაფრის განხორციელება ერთ ან ორ წელში შეუძლებელია. ჩვენ ყველაფერს ვითვალისწინებთ, სამართლებრივი პროცედურების გავლის გარეშე კაფეების დემონტაჟი უცებ ვერ მოხდება. ნელა, მაგრამ მაინც ვაგვარებთ ამ საკითხს.

- საპირფარეშოებთან დაკავშირებულ პრობლემაზე რას იტყვით?

- ამ მიმართულებითაც აქტიურად ვმუშაობთ. პირველი ნაბიჯი კობალაძის ქუჩაზე ახალი საპირფარეშოს მოწყობა იქნება. ახალ ბულვარში, ამფითეატრთან, ექსპლუატაციაში შევიდა განახლებული საპირფარეშო, ბულვარის ტერიტორიაზე გვაქვს ხუთი ერთეული ასეთი ობიექტი. გეთანხმებით, ეს არაა საკმარისი, რაოდენობის პრობლემა გვაქვს და ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ.

- ბევრი მწვანე საფარის სიმცირეზეც აკეთებს აქცენტს...

- ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა. ყოველწლიურად ათასობით ძირ ხე-მცენარეს ვყიდულობთ და ვაახლებთ მწვანე საფარს, ვცვლით დაზიანებულ და ასაკოვან მცენარეებს. ლანდშაფტური პროექტების განხორციელება ბულვარის ადმინისტრაციის პრიორიტეტია. ამ ეტაპზე, კოლონადების მიმდებარედ კეთდება ახალი სკვერი, რომელიც მალე დასრულდება. ვგეგმავთ ბამბუკების კორომის, გორდეზიანის სკვერის, იაპონური ბაღის რეაბილიტაციაგანახლებას და სხვა თემატური სკვერების მოწყობას.

- ბულვარში მწვანე ველობილიკიც ერთგვარი სიახლეა...

- მიმდინარეობს ველობილიკის განახლება. ერთ კილომეტრამდე ზოლის ფილები აყრილია. ცალკეულ მონაკვეთზე დავიწყებთ დაგებას, რომ დისკომფორტი არ შევუქმნათ მოსახლეობას. ველობილიკის ფერი იქნება მწვანე, რაც ასოცირდება ბუნებასთან, განსაკუთრებული ფერია, ლამაზად შეერწყმება იქაურ ინფრასტრუქტურას და ვფიქრობ, ძალიან მოუხდება ბულვარს. სამუშაოები მეორე კვარტალის ბოლოს დასრულდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბულვარის განახლებული ველობილიკი დაკავშირებული იქნება ქალაქის ველობილიკების ცენტრალურ ქსელთან.

- როგორ შეხვდება ახალ ტურისტულ სეზონს ბათუმის ბულვარი?

- ყველა ჩამოთვლილი პროექტი, რომელსაც ბათუმის ბულვარი ახორციელებს, ტურისტული სეზონის დაწყებამდე დასრულდება. ვფიქრობთ, სკეიტპარკის ლიცენზიის მიღებაც მოესწრება და სავარაუდოდ, შემოდგომაზე ბათუმში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებასაც შევძლებთ. არ არის მარტივი პროცედურა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მოვახერხებთ.

- შარშან სიახლეც გქონდათ: ბათუმმა პირველად უმასპინძლა „ბულვარის ფესტივალს“...

- უშუალოდ ბათუმის ბულვართან დაკავშირებული ეს ღონისძიება ძალიან საინტერესო და მასშტაბური გამოვიდა. წელს შედარებით მოკრძალებულს ვგეგმავთ და აქცენტს სამეცნიერო მიმართულებაზე გადავიტანთ. ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია და გვეყოლება არაერთი სტუმარი. ბათუმის ბულვარს ჰყავს პროფესიონალთა გუნდი, ყველაფერი გუნდურად მუშავდება და ხორციელდება. გვქონდა საერთო ხედვა და ერთობლივად შევძელით ყველა პროექტის წარმატებით განხორციელება. წელს საახალწლო განათებების, ილუმინაციების სამონტაჟო სამუშაოებში, პრაქტიკულად, ყველა თანამშრომელი იყო ჩართული. ასე შეიქმნა ლამაზი კუთხეები. ერთი სიტყვით, ძალა ერთობაშია და მიხარია, რომ ასეთ გუნდთან ვმუშაობ.

- აქვე გკითხავთ, რა ბედი ელის ბულვარის შესასვლელში არსებულ ნიყარას, სადაც ქორწინების კუთხეა განთავსებული?

- განაშენიანების გეგმაში არის ობიექტები, რომელთა დემონტაჟიც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, ძალიან ბევრი პროექტი გვაქვს დაწყებული და განსახორციელებელი. ბათუმის ბულვარის მთელი გუნდი, პრაქტიკულად, 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. ვისურვებდი, ყველას უყვარდეს ბულვარი, არ დააზიანოს მწვანე ნარგავები და გაუფრთხილდეს მას. სამწუხაროდ, გვაქვს დაზიანების არაერთი ფაქტი, რაც ძალიან გვტკენს გულს. დაცვის სამსახური მაქსიმალურად ცდილობს ამ შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას, ყველა ლოკაცია აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით. ჩვენთან მაქსიმალურად დაცული და უსაფრთხო გარემოა. თუ ვამბობთ, რომ გვიყვარს ბულვარი, ეს ნიშნავს - უნდა გავუფრთხილდეთ ამ საუკუნოვანი ისტორიის მქონე ბაღს.

გიგა წულეისკირი: ჩვენ არ ვებრძვით გამსესხებლებს, ჩვენ ვებრძვით მევახშეებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

წლებია, იპოთეკით დაზარალებულები სახელმწიფოსგან შველას ითხოვენ, მართავენ აქციებს, მიტინგებს. ერთადერთი მოთხოვნა აქვთ: შეჩერდეს მათი სახლებიდან გამოსახლება. ეს პროცესი კი არ შენელებულა, პირიქით - ამ ბოლო პერიოდში პანდემიის დროს თაროზე შემოდებული საქმეები განახლდა და აღსრულების ეროვნული ბიურო დაზარალებულებს საცხოვრებელი სახლებიდან ასახლებს

ბევრმა შეიძლება გითხრათ, ფული ისესხე, ვერ გადაიხადე და, რა თქმა უნდა, ხელშეკრულებაში ჩადებული პირობა უნდა შეასრულო - დათმო შენი საკუთრება. ერთია, რომ ეს კანონით გამართლებული ფორმაა და მეორე - რა სახის ხელშეკრულება იდება. მევახშეები ხშირად, ვალის აღების პროცესშივე, არა სასესხო, არამედ სხვა ტიპის ხელშეკრულებას დებენ და პირდაპირ ხდებიან ბინის მეპატრონეები ვალის დაბრუნებამდე, თანხის და მისი პროცენტების გადაუხდელობის შემთხვევაში კი ითხოვენ მოვალის ბინიდან გამოსახლებას. სწორედ ამგვარ თაღლითობაზე გვესაუბრება იპოთეკით დაზარალებულთა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა წულეისკირი. მისივე თქმით, უკანონობაა ისეთი ხელშეკრულების დადება, როგორზეც ზემოთ ვთქვით. ეს საკითხი სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს. ამ ბოლო პერიოდის ყველაზე გახმაურებული საქმეა თბილისში, კეკელიძის ქუჩიდან აღსრულების პოლიციის მიერ ოჯახის ბინიდან გამოსახლება. ძალოვნებმა გასაპროტესტებლად ბინაში ოჯახის წევრებთან ერთად შეკრებილ ადამიანებს სივრცის დატოვებისკენ მოუწოდეს, შემდეგ კი ტერიტორიიდან ძალის გამოყენებით გაიყვანეს.

აღსრულების პოლიცია ბინაში შესვლას ორ საათზე მეტხანს ცდილობდა, რადგან შედუღებული დახვდათ როგორც ბინის, ისე სადარბაზოში შესასვლელი კარები. ბინაში შესვლაში მათ დაეხმარნენ საპატრულო პოლიციის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები. პოლიციამ საცხოვრებელი ბინიდან ოჯახის გამოსახლებისას სულ 20 ადამიანი დააკავა.

როგორც ბინის ყოფილი მფლობელი მარინა ხატიაშვილი ამბობს, მან „საქართველოს ბანკიდან“ თანხა 2008 წელს ისესხა, თუმცა 2013 წელს, თვენახევრის ვადაგადაცილების გამო, საქმე სასამართლოს გადაეცა და ბანკის თანამშრომელმა ის კერძო იპოთეკარებთან გადაამისამართა. საბოლოოდ, ხატიაშვილებმა „საქართველოს ბანკს“ 10-წლიან 20 000-ის სესხში 5 წელიწადში გადაუხადეს 43 000 დოლარი, კერძო იპოთეკარებისთვის კი მთლიანობაში გადახდილი ჰქონდათ 80 000 დოლარი.

კეკელიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მალევე გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ გამოსახლების პროცესი კანონის სრული დაცვით ხორციელდებოდა და უარყო ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აღსრულების პოლიციამ გაზი გამოიყენა. პირიქით, ბინაში მყოფმა ადამიანებმა, პროცესის ხელშეშლის მიზნით, სამაშველო სამსახურისა და აღსრულების პოლიციის მიმართ გამოიყენეს, სავარაუდოდ, წიწაკის სპრეი, რა დროსაც დაშავდა რამდენიმე პოლიციელი. ასევე, მათ მიაყენეს აღსრულების პოლიციელებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. სხეულის დაზიანება მიიღეს აღსრულების პოლიციის თანამშრომლებმა, ასევე, დაზიანდა სახელმწიფო ქონება. „აღნიშნული გამოსახლების პროცესი აღსრულების პოლიციის მიერ ექვსი წლის განმავლობაში ხუთჯერ გადაიდო. ამ დროის განმავლობაში აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, საქმის მორიგებით დასრულების მიზნით, გაატარა ყველა ღონისძიება, აქტიურად მიმდინარეობდა მხარეებს შორის მოლაპარაკებები, სადაც კრედიტორი მოვალეს სთავაზობდა ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართს, რაზედაც მოვალემ განაცხადა უარი“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ჩვენთან საუბარში გიგა წულეისკირმა თქვა, რომ გამოსახლების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, ნოტარიუსით გააფორმეს ახალი ხელშეკრულება და თანხის გადაცემის შემდეგ, ბინა ისევ ძველ მეპატრონეს დაუბრუნდება. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ოჯახის შემთხვევაში განხორციელდა, რადგან თანხა ხელთ ჰქონდათ, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ, მსგავს სიტუაციაში რომ არ აღმოვჩნდეთ?

> ***„ ვერავინ უნდა მოგვატყუოს, რომ ხელშეკრულებაზე ხელი რადგანაა მოწერილი, ამიტომ უნდა დათმო ქონება. ეს ასე არაა. ნოტარიუსებიც და კერძო იპოთეკარებიც უკანონოდ მოქმედებენ. ვალის აღების დროს ფორმდება ყიდვა-ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც უძრავი ქონება თანხის დაბრუნებამდე გადადის იპოთეკარების მფლობელობაში. სწორედ აქ ვაწყდებით უკანონობას. ხშირად ფულის გადაცემის და, რა თქმა უნდა, პროცენტის დაბრუნების შემდეგაც არ უბრუნდება უძრავი ქონება ძველ მეპატრონეს. ასე მოხდა კეკელიძის ქუჩაზეც***

როგორც გიგა წულეისკირი გვეუბნება: „კანონი გამოსახლების დროს ითვალისწინებს რამდენიმე პუნქტს. თუ ოჯახში მცირეწლოვანი ან ავადმყოფია, რომელსაც უჭირს გადაადგილება, ამ დროს არ ხდება ბინის იძულებით დაცლა. კონკრეტულად კეკელიძის ქუჩაზე ადგილი ჰქონდა თაღლითურ გარიგებას. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოიძიოს მსგავსი საქმეები - გახსნას ძველი „ქეისები“ და გადახედოს. ავიყვანეთ იურისტები, რომლებიც ჩვენ ყველა ბენეფიციარს დაეხმარება. ვერავინ უნდა მოგვატყუოს, რომ ხელშეკრულებაზე ხელი რადგანაა მოწერილი, ამიტომ უნდა დათმო ქონება. ეს ასე არაა. ნოტარიუსებიც და კერძო იპოთეკარებიც უკანონოდ მოქმედებენ. ვალის აღების დროს ფორმდება ყიდვა-ნასყიდობის ხელშეკრულება, რითაც უძრავი ქონება თანხის დაბრუნებამდე გადადის იპოთეკარების მფლობელობაში. სწორედ აქ ვაწყდებით უკანონობას. ხშირად ფულის გადაცემის და, რა თქმა უნდა, პროცენტის დაბრუნების შემდეგაც არ უბრუნდება უძრავი ქონება ძველ მეპატრონეს. ასე მოხდა კეკელიძის ქუჩაზეც. ჩვენ ამ საქმეს „საუკუნის გარიგება“ დავარქვით, რადგან ორი დღის წინ ნოტარიუსით გავაფორმეთ ახალი შეთანხმება, სადაც თანხის მიცემის შემდეგ ბინა ისევ ქალბატონ მარიკას გადაეცემა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ თაღლითობა სსკ-ის 180-ე და 182-ე მუხლით უნდა გამოიძიოს. ჩვენ არ ვებრძვით გამსესხებლებს, ჩვენ ვებრძვით მევახშეებს. მევახშეებს ვეძახით იმ ადამიანებს, ვინც გასესხებულ ფულს უკან არ იბრუნებს იმ მოტივით, რომ ქონება წაართვას, რისი უფლებაც კანონით არ აქვს. ამის უამრავი იურიდიული არგუმენტი გვაქვს. ყველა იმ საქმის მოკვლევა განვაახლეთ, რომელიც პროკურატურას დაწყებულიც კი არ ჰქონდა. უბედურება ისაა, რომ ამ სფეროში პროკურორებსა და გამომძიებლებს კვალიფიკაცია არ ჰყოფნით. ამიტომ ჩვენ ჩავერთეთ საქმეში. ვითხოვთ მორატორიუმს. სახელმწიფოს ვთხოვეთ, გააჩეროს ყველა გამოსახლება, დაიწყოს ხელახალი გამოძიება და აუცილებლად ჩაგვრთოს ამ პროცესებში, მით უმეტეს, რომ ვართ აპოლიტიკური არასამთავრობო ორგანიზაცია, არ გვაქვს პოლიტიკური ამბიცია და ხედვა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენთან ითანამშრომლებს, მანამდე კი ყველას ვურჩევთ, არ გააფორმონ ყიდვა-ნასყიდობის ხელშეკრულება. უბრალოდ, დადონ გირაოს ტიპის შეთანხმება, სადაც მხოლოდ ბინით იქნებიან უზრუნველყოფილნი და სხვა მესაკუთრე უძრავ ქონებას, ვალის აღების შემთხვევაში, არ ეყოლება, ჩვენ კი გავაგრძელებთ კანონიერ მოკვლევას ყველა დაზარალებულის საქმეზე“.

ერთი მაგიდის ირგვლივ – ევროკავშირში გასაწევრიანებლად

მე-2 გვერდიდან

არსებობენ. თაობებისა და ჩვენი მოქალაქეების ბრძოლასთან ერთად, ესეც იყო ერთი-ერთი ფაქტორი, რამაც გადააწყვეტინა ევროკავშირს ჩვენი ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭება. რეალური ანტიკორუფციული და მართლმსაჯულების რეფორმები ჩვენი გუნდის პრიორიტეტია, რაც პირდაპირ კავშირშია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებასთან. მართალია, არ გვაქვს მოლოდინი, რომ ხელისუფლება გონს მოეგება და რეკომენდაციების შესრულებას დაიწყებს, ისინი როგორც ადრე, ახლაც შეეცდებიან, ფორმალური „რეფორმები“ გაასაღონ პროგრესად, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, მათ შორის, ოპოზიციაში ყოფნის პირობებშიც, რომ დრო არ დაიკარგოს და რაც შეიძლება სწრაფად მოხერხდეს ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესის დაწყება გაწევრიანებაზე. ოპოზიციაში მყოფი სხვა პოლიტიკური პარტიები ხან მონაწილეობაში ვერ ხედავენ აზრს და პროცესის დისკრედიტაციას ცდილობენ, ხან ბოიკოტს აცხადებენ, შემდეგ აზრს იცვლიან და სამუშაო ჯგუფებს უერთდებიან, რაც მათ კომიკურად წარმოაჩენს. „ლელოს“ მრჩევლად არ გამოვდგები, მათი გადასაწყვეტია, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას. ვფიქრობ, ჩვენ უფრო მეტად ვგულშემატკივრობთ მათ, ვიდრე თავად ისინი საკუთარ თავს. დღეს ქართველი ხალხიც და ევროპელი პარტნიორებიც ელოდებიან მთელი პოლიტიკური სპექტრის ერთობას ზეპარტიულ, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ვინც ამას ვერ გაიაზრებს, არჩევნებზე გაეცემა საკადრისი პასუხი ამომრჩევლისგან.

რეზო ხარაზი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი:

- უმნიშვნელოვანესია ის 9 პუნქტი, რომლებიც გვაქვს შესასრულებელი. ევროკავშირის წარმომადგენლები გვთხოვენ, რომ ყველა ის

სტრუქტურა და ინსტიტუცია, რომელიც მოითხოვს ცვლილებას, შეცვალოთ. მთავარია, 9 დათქმასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობა“ მზად ვართ ნებისმიერ ფორმატში ვითანამშრომლოთ და ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულდეს. მიუხედავად იმისა, რომ ვერთვებით მოლაპარაკებებში, მაინც ვიტყვი იმას, რომ ეს პროცესი „ქართული ოცნების“ პირობებში არის ფორმალური და ისინი რეალურად ნაბიჯს არ დგამენ ევროკავშირში გასაწევრიანებლად. 2024 წლის არჩევნებით უნდა გავუშვათ ხელისუფლება სახლში, რომ რეალურად დავიწყოთ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის იმ მთავარი პუნქტების შესრულება, რომელიც დაკისრებული გვაქვს. ეს პუნქტები გულისხმობს დამოუკიდებელ სასამართლოს, არჩევნების გამჭვირვალობას და ბევრ ისეთ ცვლილებას, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და მოქალაქეებს მისცემს განვითარების საშუალებას. ჩვენი პარტია 9 პუნქტის შესასრულებლად ყველაფერს გააკეთებს. რაც შეეხება „ლელოს“ სტრატეგიას, მიჭირს შეფასება, რადგან ეს არის მათი პოზიცია და გადაწყვეტილება.

გენო თემბიძე, „ლელოს“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოლიტსაბჭოს წევრი:

- „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ადრე, ახლაც დაანონსა, რომ ევროკავშირის 9 პრიორიტეტის შესრულებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნას აპირებს და მოუწოდა ოპოზიციურ პარტიებსაც ამ ჯგუფში მონაწილეობისკენ. თუმცა „ლელოს“ არ სჯერა რუსული „ოცნების“ მორიგი ტრიუკის, დარწმუნებულები ვართ, რომ ისინი კვლავ გააგრძელებენ რუსული პოლიტიკის გამოკვებას მათი უსუსურობით და კოლაბორაციონისტული დამოკიდებულებით. ისინი სპეციალურად აჯანჯლებენ ამ ცხრა პუნქტის შესრულების პროცესს. ჯერ შექმნიან სამუშაო ჯგუფს, შემდეგ ამ ჯგუფის ქვეკომისიას, შემდეგ ამ ქვეკომისიის კომისიას და ასე დაუსრულებლად, სანამ ჩვენს პარტნიორებს საბოლოოდ არ ჩააქნევინებენ ხელს ჩვენს ევროპულ მომავალზე და არ გაუხსნიან ფართოდ კარებს რუსულ ღირებულებებს, რაც საბოლოოდ დააკავშირებს ჩვენს მომავალს რუსეთთან. ეს არის ამათი მიზანიც! „ლელომ“, ამ ყველაფრის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტში წარადგინა გეგმა „9 ნაბიჯი ევროპისკენ“. ჩვენს პარტიას მზად აქვს გეგმა, როგორ შევასრულებთ ცხრავე რეკომენდაციას უნაკლოდ, ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთ წელიწადში! „ქართულმა ოცნებამ“ 18 თვე და მილიონობით ლარი დახარჯა არა რეფორმების გატარებაში, არამედ ევროპის დისკრედიტაციის კამპანიაში. ახლაც იგივეს ცდილობს - პროცესის დისკრედიტაციას, დროის გაწელვას და 9 პუნქტის ჩაგდებას. „ქართულ ოცნებას“ არ მივყავართ ევროპისკენ იმიტომ, რომ რუსეთს ემსახურება. ჩვენ მოგვეცა ისტორიული შანსი. ამ შანსს უნდა მოვეკიდოთ სრული პასუხისმგებლობით, ახლა არ არის პროცესის შენელების და დამუხრუჭების დრო. საჭიროა სწრაფი წინსვლა ევროკავშირისკენ და არა საქართველოს დაბრუნება რუსულ ორბიტაზე. ასეთი შანსი საუკუნეში ერთხელ ჩნდება. საქართველოს სჭირდება პარტია, რომელიც რუსულ კანონს კი არ იღებს ან ანტიევროპული კამპანიით კი არაა დაკავებული, არამედ ევროპულ რეფორმებს განახორციელებს, საქმეს გააკეთებს. ამ რეფორმების გატარება არ არის რთული, როცა გინდა. „ოცნებას“ არ უნდა და ამიტომ არ აქვთ რეალური გეგმა და მიზანი მისი განხორციელების. მათი გეგმა რუსეთია, ჩვენი გეგმა კი საქართველო.

„ხელნაკეთი ნივთების მუზეუმი დამატებით შემოსავალს მოუტანს მოსახლეობას“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მთიანი აჭარის სოფლები ცარიელდება. კიდევ რამდენიმე წელი და... მათ უმრავლესობას აჭედილი ფანჯრები, გამოკეტილი სახლები, ღობემორღვეული ეზოები, ეკალ-ბარდითა და ბუჩქებით დაფარული კარმიდამოები შემორჩება...

თუმცა არიან ისეთი ახალგაზრდებიც, რომლებიც, სოფლიდან წასვლის მიუხედავად, მშობლიურ კუთხეს არ ივიწყებენ, სოფელს, ხეობას ხელს აშველებენ. მათ რიგებშია სოფელ ღორჯომის მკვიდრი ***ირაკლი ირემაძე.***

- ბატონო ირაკლი, ირემაძეებს ყოველთვის შეჰქონდათ საკუთარი წვლილი ხეობის, სოფლის განვითარებაში...

- ჩვენი წინაპარი მევლუდ ირემაძე ხეობაში იმ დროისთვის წარმატებული ოჯახის წინამძღოლი იყო და შესაძლებლობის ფარგლებში, ყველას დახმარების ხელს უწვდიდა. წინა საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც სოფლად საშუალო სკოლის აშენების საკითხი დადგა, მან ხუთი ათასი კვადრატული მეტრი მიწა უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. ღორჯომის საჯარო სკოლა ახლაც ამ ტერიტორიაზეა. მის გზას აგრძელებდნენ ბაბუაჩემი რევაზ ირემაძე, მამა - თამაზ ირემაძე. ბაბუაჩემი იყო ერთ-ერთი პირველი უმაღლესდამთავრებული ღორჯომის ხეობაში. მთელი ცხოვრება ემსახურა მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმეს. მუშაობდა ნიგაზეულის, რაქვთის, ტუნაძეების, გორგაძეების, მეკეიძეების სკოლების დირექტორად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი. მამაჩემი თამაზ ირემაძე სპეციალობით იურისტი გახლდათ, ასევე, დამთავრებული ჰქონდა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი, მუშაობდა სხვადასხვა მიმართულებით. ბოლოს, ცამეტი წელი, ღორჯომის თემის ხელმძღვანელი იყო. მისი მუშაობის პერიოდში სოფელში აიგო კულტურის სასახლე, დაწესდა შუამთობები „ჩუდურაულობისა“ და „ზოტიყელობის“ სახით, მთა ზოტიყელში კურორტ ბახმაროდან დენი გამოიყვანეს, რაშიც ხულოს მაშინდელ გამგებელ თემურ ბოლქვაძის წვლილიც დიდი იყო. სხვა უამრავი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. არადა, იმ დროს სოფლისთვის ერთი პროექტის შესრულებაც კი ძალიან რთული იყო. ის თავისი გავლენებით ახერხებდა სოფლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად თანხის მოპოვებას. მათ გზას ვაგრძელებ, შესაძლებლობის მაქსიმუმს გავიღებ ჩემი ხეობისთვის, რადგან მე ღორჯომელი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში ვმუშაობ, ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია ურთიერთობა სოფელთან, ახალგაზრდებთან, უხუცესებთან, ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას ერთად ვგეგმავთ და ვახორციელებთ კიდეც. ბათუმში მყოფმა სამასზე მეტმა ახალგაზრდამ დავაფუძნეთ ორგანიზაცია „ღორჯომი გვაერთიანებს“. მე ერთი რიგითი წევრი ვარ და მიხარია, რომ ერთ მუშტად შეკრულნი ვიბრძვით ხეობის და ქვეყნის გაძლიერებისთვის. დროის ამ მონაკვეთში სწავლა არ შემიწყვეტია. დავასრულე თბილისის პოლიტიკური აკადემიის ინსტიტუტი სამართალმცოდნის სპეციალობით; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინგლისური ენა-ლიტერატურის სპეციალობით; ბიზნესის უმაღლესი სკოლა ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობით; ნიდერლანდების ინსტიტუტის „მრავალპარტიული დემოკრატიისათვის“ ბათუმის დემოკრატიის სკოლა; კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტი. გავლილი მაქვს სხვადასხვა კურსი და სტაჟირება. 2006 წლიდან დღემდე სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე ვიმუშავე, ვიყავი აქტიური სპორტსმენიც, კერძოდ, კიკბოქსინგის ნაკრების წევრი. ამჟამად ბათუმის ავტოტრანსპორტში ერთ-ერთ განყოფილებას ვხელმძღვანელობ. მიყვარს ჩემი საქმე და ეს მაბედნიერებს.

- ბებია - სურიე ზოიძე-ირემაძე ცნობილ მსახიობ იუსუფ ზოიძის და იყო. იგი შვილებთან ერთად გადაასახლეს...

- მიუხედავად იმისა, რომ ბაბუაჩემის მამა მევლუდ აღა ირემაძემ სახელმწიფოს მიწა აჩუქა სკოლის ასაშენებლად, 1951 წელს ოჯახი მაინც გადაასახლეს ყაზახეთში. მამაჩემი იქ, ამანგელდის რაიონში დაიბადა. მანამდე, 1937 წელს, ჩამოგვართვეს ქონებაც - სახლები ბათუმში, მახინჯაურსა და ღორჯომში, ამ უკანასკნელში განთავსდა სოფლის საბჭო და ბიბლიოთეკა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს, ბებიაჩემის ძმა დავით ზოიძე ჩავიდა ყაზახეთში და იქიდან გამოაპარა ბებია შვილებთან ერთად. რამდენიმე თვეში ბაბუა რევაზი და მისი ძმაც დაბრუნდნენ. დიდი ხნის შემდეგ ოჯახმა მიიღო რეაბილიტაციის ცნობაც, მაგრამ ჩამორთმეული ქონება, გარდა სოფლის სახლისა, არ დაუბრუნებიათ.

- მამის უკვდავსაყოფად ჭადრაკში ხსოვნის ტურნირი დააწესეს.

- ჭადრაკში თამაზ ირემაძის ხსოვნის ტურნირის დაწესებაში დიდი წვლილი მიუძღვით ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძეს, საკრებულოს მაშინდელ თავმჯდომარე ჯუმბერ დიმიტრაძეს, ბიზნესმენსა და მეცენატ გოჩა ირემაძეს, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდი მათ მადლობას. ადამიანის ღვაწლის დაფასება სამართლიან და მოაზროვნე ადამიანებს შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ჩვენი ოჯახიც ჩართული იყო აღნიშნული ტურნირების ორგანიზებაში და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

- შარშან ღორჯომელებმა სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ღორჯომში“ წამოიწყეთ. რა წვლილს შეიტანს იგი ხეობის სოციალურ და კულტურულ განვითარებაში?

- ეს ფესტივალი აქაური ახალგაზრდებისა და უხუცესების ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც მხარში დაუდგა წამოწყებას. დიდი ხნის უნახავი ადამიანები ერთმანეთს სწორედ ამ ფესტივალმა შეახვედრა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ოჯახებით მოდიოდნენ როგორც აქაურები, ასევე, ხეობის სტუმრები, ეს ნამდვილი ზეიმი იყო! მოეწყო სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიება, იყო ცეკვა, სიმღერა, ღვაწლმოსილი ადამიანები „საპატიო ღორჯომელის“ დიპლომებით დაჯილდოვდნენ. დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, დაეგემოვნებინა ადგილობრივი კერძები, შეეძინა ხელნაკეთი ნივთები. ფესტივალმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ამიტომ იგი მომავალშიც უნდა ჩატარდეს, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- დედა - მაყვალა ირემაძე წლების განმავლობაში ღორჯომში (ხულოს რაიონი) პირველად გახსნილი საშუალო სკოლის დირექტორი იყო. თავის გამოცდილებას და უნარს ახლა ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს ახმარს. მისი როლი - თქვენს ცხოვრებაში...

- დედა პროფესიით პედაგოგია, ორმოც წელზე მეტი იმუშავა ღორჯომის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, აქედან ჩვიდმეტი წელი ამ სკოლის დირექტორი იყო. სამივე შვილს მათემატიკას გვასწავლიდა. ის პირველი ქალი დირექტორი იყო ღორჯომის ხეობაში. მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო, ბევრი თაობა აღზარდა და გზა გაუკაფა მომავლისაკენ. ახლა ღორჯომის საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობს. მას დიდი როლი მიუძღვის ჩვენს აღზრდაში, იგი გვასწავლიდა ოჯახის და სამშობლოს სიყვარულს. მშობლების მსგავსად, მეც შვილებს პატრიოტული სულისკვეთებით ვზრდი. უფროსი შვილი - თამარი ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეა. გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობს, ხატვითაცაა დაინტერესებული. ორი წლის წინ საკუთარი ნახატების გამოფენა ჰქონდა სკოლაში და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ვფიქრობ, თუ სამომავლოდ ამ მიმართულებას აირჩევს, საკმაოდ კარგი შედეგები ექნება. რაც შეეხება მეორე შვილს - დემეტრეს, ისიც ამავე სკოლის მეორეკლასელია. მოუსვენარ ბიჭს ყველაფრის ერთდროულად გაკეთების სურვილი აქვს... ბაბუას ჰგავს ჭადრაკის სიყვარულში, სათანადოდ ეუფლება და იმედი მაქვს, დიდ წარმატებას მიაღწევს.

- ხელისუფლების ორგანიზებითა და მეცენატ გოჩა ირემაძის მხარდაჭერით, თქვენი საცხოვრისის ახლოს სპორტის სასახლე აშენდა...

- ღორჯომის ხეობაში თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზი რომ აშენდა, ხელისუფლების, განსაკუთრებით კი ხულოს მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ ვახტანგ ბერიძის დამსახურებაა. ხეობის ახალგაზრდების სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო მას საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებისთვის. ვიცი, უამრავი გეგმა აქვს ხულოს მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის და მინდა, წარმატებები ვუსურვო. რაც შეეხება ბატონ გოჩა ირემაძეს, ის, უდავოდ, დიდი ქველმოქმედია, ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული ქვეყნისთვის, თითოეული ადამიანისთვის. ბატონი გოჩა თავად იყო ჩართული მშენებლობის პროცესში, ყველაფერი გაიღო იმისთვის, რომ შენობა იდეალური გამოსულიყო. ახალგაზრდების დაინტერესებაც დიდი იყო, მშენებლებს ეხმარებოდნენ და ამაყობენ, რომ ერთი აგური შემატეს მომავალი მსოფლიო ჩემპიონების სამჭედლოს. ახლა ელოდებიან სპორტული დარბაზის საზეიმოდ გახსნას. დარწმუნებული ვარ, რომ აქ გაიზრდებიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები.

- კულტურის სასახლე იმ დროს აშენდა, როცა მამათქვენი ღორჯომის თემის ხელმძღვანელი იყო. რა როლი შეასრულა კულტურის ამ კერამ ხეობის ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და ქორეოგრაფიის შენახვა-განვითარებაში?

- იმ დროისთვის ღორჯომში თანამედროვე ტიპის, 500 ადამიანზე გათვლილი კულტურის სასახლის აგება ზოგს წარმოუდგენლად მიაჩნდა, მაგრამ შენობა აიგო და წელი არ გავა, რომ რამდენიმე ღონისძიება არ გაიმართოს როგორც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების, ისე მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. კულტურის სასახლე დაკომპლექტებულია შესანიშნავი სპეციალისტებით, რომლებმაც ნელა-ნელა მოიძიეს, გააცოცხლეს და განავითარეს მივიწყებული სიმღერები და ცეკვები. აქვე აღვნიშნავ, რომ თემის ხელმძღვანელობამდე მამაჩემი მუშაობდა კულტურის სახლის დირექტორის მოადგილედ და სკოლაში - მუსიკის მასწავლებლად. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ დაჟინებით ითხოვდა ახალი კულტურის სახლის აშენებას და, რა თქმა უნდა, ხალხთან ერთად, ამას მიაღწია. ხალხმაც ამაგი დაუფასა და შარშან, მოსახლეობის მოთხოვნით, ღორჯომის კულტურის სასახლეს მისი სახელი მიენიჭა.

- როგორია თქვენი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი?

- ძალიან ვაფასებ და მიყვარს ხელოვანი ადამიანები. სტუდენტობის პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული სტუდენტური დღეების ორგანიზებაში, ვმონაწილეობდი იუმორისტულ სკეტჩებში, ვცეკვავდი კიდეც, სამწუხაროდ, სიმღერა არ შემიძლია. ვიცი რამდენიმე ქართული ცეკვა, ვუკრავ ფანდურსა და დოლზე.

- რა არის საჭირო, ღორჯომის ხეობის ადათ-წესები, ეროვნულისადმი მისწრაფება რომ არ დაიკარგოს?

- თანამედროვე ცხოვრებამ ზოგიერთი ადათ-წესი უკანა პლანზე გადასწია, მაგალითად, ადრე ქორწილი სოფელში ტარდებოდა, სეფაში. ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე იკრიბებოდნენ მეზობლები, ნათესავები და იწყებოდა სამზადისი, მიდიოდა ცეკვა-თამაში... ზოგჯერ ქორწილი ერთ კვირასაც გრძელდებოდა, რაც გასახარი იყო. დიდი ხნის უნახავი ახლობლების ნახვა მოხუცი ადამიანებისთვის ძალიან სასიამოვნო იყო. ამჟამად სეფა საქორწინო დარბაზებმა ჩაანაცვლა... სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ... სხვა ადათ-წესები, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია. ბოლო ხანებში პოპულარული გახდა ფერადი წინდებისა და ფარდაგების მოქსოვა-მოქარგვა, რომლის სილამაზით მოხიბლულნი არიან არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მოგეხსენებათ, რომ უკვე რამდენიმე წელია, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ზურა შევარდნაძემ დაიწყო ღორჯომში შექმნილი ნაქსოვ-ნაქარგების პოპულარიზაცია, რამაც ხელი შეუწყო ამ მიმართულების განვითარებას. რაც შეეხება ეროვნულისადმი მისწრაფებას, აჭარული წინდებისა და ფარდაგების მოქარგულობაში ამოიკითხავ აჭარელი ქალის დამოკიდებულებას ეროვნულობისადმი. ვფიქრობ, უფრო მეტი დაფინანსებაა მოსაძიებელი, რომ აღვადგინოთ ისეთი ხელნაკეთი ნივთების დამზადების ტრადიცია, როგორებიცაა: ხის აკვანი, ურემი, ციგა, თხილამურები, საჩეჩელი, ხის კოვზები, თეფშები და სხვა. შესაძლებელია, ხელნაკეთი ნივთების მუზეუმის მოწყობაც. სამთო ტურიზმის მიმართულებით მომუშავე გიდებთან თანამშრომლობით შევძლებთ აღნიშნული ტრადიციის პოპულარიზაციას და ტურისტების დაინტერესებას, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას და ტრადიციაც დავიწყებას არ მიეცემა.

> ***„რამდენიმე წელია, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ზურა შევარდნაძემ დაიწყო ღორჯომში შექმნილი ნაქსოვ-ნაქარგების პოპულარიზაცია, რამაც ხელი შეუწყო ამ მიმართულების განვითარებას. რაც შეეხება ეროვნულისადმი მისწრაფებას აჭარული წინდებისა და ფარდაგების მოქარგულობაში ამოიკითხავ აჭარელი ქალის დამოკიდებულებას ეროვნულობისადმი. ვფიქრობ, უფრო მეტი დაფინანსებაა მოსაძიებელი, რომ აღვადგინოთ ხელნაკეთი ნივთების დამზადების ტრადიცია“***

- ხეობის ტურისტული პოტენციალიც ამოუწურავია...

- ხეობაში, ბოლო წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტმა უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა, მუშაობენ ტურიზმის განვითარების მიმართულებითაც, რაც მისასალმებელია. რამდენიმე წლის წინ ადგილობრივმა ახალგაზრდებმა დააფუძნეს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ოფისიც მდებარეობს ღორჯომში, კერძოდ, თამაზ ირემაძის სახელობის ღორჯომის კულტურის სახლის მეორე სართულზე. ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც ვარ. ორგანიზაციას ღორჯომზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება როინ ირემაძე ხელმძღვანელობს. ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებული გრანტის ფარგლებში, ახლახან „მწვანე სექტორთან“ ერთად დავასრულეთ პროექტი „ღორჯომის ხეობის მეგზურთა კლუბი“, რომლის მიზანია ღორჯომის ხეობის ტურისტული პოტენციალის ფართოდ წარმოჩენა და პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებგვერდი www.Ghorjomi.ge. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მისი მეშვეობით გაეცნონ ხეობის ტურისტულ პოტენციალს და იმოგზაურონ ხეობაში. აქტივობები წელსაც გაგრძელდება და საბოლოო ჯამში, ღორჯომის ხეობა ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი მიმართულება გახდება.

როგორია თავსაბურიანი ქალების ცხოვრება საქართველოში?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საქართველო, განსაკუთრებით - აჭარა, რელიგიური მრავალფეროვნებითაა ცნობილი. ჩვენ ტოლერანტობით გამორჩეული ერი ვართ, მაგრამ თითო-ოროლა ისეთი ადამიანი მაინც შემორჩა, რომელიც ჩვენივე ქვეყნის მუსლიმებს თავსაფრის ტარების გამო სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი აყენებს

ერთი შეხედვით, თავისუფლებისკენ ვილტვით, მაგრამ ის გვავიწყდება, რომ თავისუფლება სხვა ადამიანის პატივისცემასაც ითვალისწინებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ისეთ ფაქიზ თემას ეხება, როგორიც რელიგიაა.

დღეს ჩვენი სტუმარია 23 წლის ***ციცინო დავლაძე*** *- ბათუმელი, მუსლიმი გოგონა, რომელმაც თავსაფრიანი ქალების ცხოვრება სხვა თვალით დაგვანახა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ სხვისი არჩევანის პატივისცემა უდიდესი ადამიანური თვისებაა.*

- ვინც ნაკლებად ერკვევა ამ საკითხში, მათთვის განვმარტოთ, რა დატვირთვას ატარებს მუსლიმი ქალის ცხოვრებაში ჰიჯაბი (თავსაფარი)?

- ჰიჯაბს მნიშვნელოვანი რელიგიური დატვირთვა აქვს. იგი ჩვენი წმინდა წიგნის - ყურანის მიხედვით, აუცილებლად სატარებელი ატრიბუტია. ვინც თავსაფარს ვატარებთ, ჩვენთვის ის რელიგიური იდენტობისა და თვითგამოხატვის საშუალება, ღირსება და თავისუფლებაა.

- რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად მიიღეთ თავსაფრის ტარების გადაწყვეტილება და როგორ მიიღო ეს თქვენმა ოჯახმა?

- 21 წლის ვიყავი. მანამდე ვიაზრებდი, მინდოდა თუ არა ჰიჯაბის ტარება. ეს პერიოდი ყველასთვის ინდივიდუალურია. ყველა მაშინ იფარებს თავსაფარს, როცა გადის ფიქრის პერიოდს, ზოგი ნაკლებ დროს ანდომებს ამას, ზოგიც - მეტს. რაც შეეხება ჩემი ოჯახის რეაქციას, ძალიან გაუხარდათ და ბედნიერები იყვნენ შვილის რწმენაში განმტკიცებით. ისლამის მიმდევარ ოჯახში დავიბადე, ამიტომ ეს გასაკვირი არ ყოფილა.

- რამდენად ხშირად ჩაუყენებიხართ საზოგადოებას უხერხულ მდგომარეობაში და როგორ გაუმკლავდით სიტუაციას?

- რა სოციუმშიც უნდა ვიყო, არ აქვს მნიშვნელობა, თავსაფარი ჩემი იდენტობაა და ის ვერ იქნება ჩემთვის არაკომფორტული. ეს რომ ასე ყოფილიყო, მის ტარებას არ გადავწყვეტდი. სტერეოტიპებს, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ვაწყდები, ვცდილობ, გავუმკლავდე. მხოლოდ მაშინ ვგრძნობ თავს შეურაცხყოფილად, როცა მეუბნებიან: ახალგაზრდა გოგო ხარ, რატომ დაიფარე ჰიჯაბი ან მის გარეშე უფრო ლამაზი იქნებიო. იმასაც აღნიშნავენ, რომ ქართველი არ ვარ, რადგან მუსლიმანი ქართველი ვერ იქნება, ის მხოლოდ ქრისტიანი უნდა იყოს. ხშირ შემთხვევაში, მათ თავს ვარიდებ, პასუხს არ ვცემ, თუმცა არის იშვიათი შემთხვევა, როცა ეს აუცილებელია.

- საზოგადოების აზრი თქვენზე ახდენს თუ არა ზემოქმედებას?

- რასაკვირველია, არა, რადგან თავსაფრის ტარების გადაწყვეტილება ვინმეს აზრზე არ არის დაფუძნებული. საზოგადოების აზრი მხოლოდ მაშინ გვზღუდავს, როცა გვსურს სწავლა, სამსახურის დაწყება და ასე შემდეგ. ცდილობენ შეგვცვალონ, მაგრამ ხალხი იმას ვერ ხვდება, რომ მათი მცდელობა ამაოა და უფრო გვაძლიერებენ რწმენაში, ბრძოლისუნარიანს გვხდიან. ხომ გაგიგიათ, რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს.

- ქალებს, რომლებიც თავსაფარს ატარებენ, სამსახურის პოვნაც კი უჭირთო...

- დიახ, ასეა, არა იმიტომ, რომ საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერ ვგრძნობთ თავს, ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო სტრუქტურები და ის საჯარო მოხელეები, რომელთაც ხელეწიფებათ ამ საკითხის მოგვარება, არაფერს აკეთებენ ჩვენს დასაცავად. მათ არასდროს უცდიათ თავსაფრიანი ქალების ყოფის შემსუბუქება. მათ საზოგადოებისთვის არასდროს მიუმართავთ, რომ თავსაფრიანი ქალებიც ადამიანები არიან და იგივე უფლებები აქვთ, რაც ყველა ქალს. არადა, ეს ჩვენთვის დიდი თანადგომა იქნებოდა. სამწუხაროდ, არცერთ სახელისუფლებო ორგანოში და საჯარო სამსახურში არ აჰყავთ თავსაფრიანი ქალი. უამრავი შემთხვევა მქონია, როდესაც სამსახურში არ მიმღეს თავსაფრის გამო, თუმცა ამის ღიად აფიშირება არ ხდება. ჯერ იწყება მზერით, მერე იმ არასტანდარტული შეკითხვებით, რასაც სხვა, დასასაქმებლად მისულ ადამიანს არ ეკითხებიან და ასე შემდეგ. თუ ძალიან გაგვიმართლა, შეიძლება კერძო ბიზნესში დავსაქმდეთ, მაგრამ არა იმ განათლების შესაბამისად, რაც მივიღეთ უმაღლეს სასწავლებელში.

- საკუთარი თავის დასამკვიდრებლად ბრძოლა გიწევთ?

- ამისთვის ბრძოლა არა მარტო თავსაფრიან ქალებს, არამედ ყველას უწევს, ჩვენ - განსაკუთრებით. საზოგადოება გვხდის იძულებულს, იმაზე მეტი გავაკეთოთ, ვიდრე სხვამ.

- არის შემთხვევები, როდესაც გოგონები მშობლების ან მეუღლის ოჯახის მოთხოვნით ატარებენ ჰიჯაბს...

- როდესაც ქალს ოჯახი აიძულებს თავსაფრის ტარებას, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება მშობლების თუ ქმრის ოჯახი, ამას კავშირი არ აქვს ისლამსა და რწმენასთან. ის კონკრეტული ოჯახები, რომლებიც ამას აკეთებენ, არიან ტრადიციების მსხვერპლნი, მათ ამ კუთხით არ აქვთ განათლება. ისინი აგრძელებენ წინაპრების ტრადიციებს. ისლამი ძალიან ჰუმანური რელიგიაა და არჩევანს შენ გიტოვებს. იგი გვეუბნება, რა არის სწორი და რა - არასწორი, ხოლო როგორ ვიცხოვროთ, ამას ვწყვეტთ ჩვენ. რა თქმა უნდა, რჩევას ყველა ადამიანისგან ვისმენთ ნებისმიერი გადაწყვეტილების წინ, მაგრამ ბოლოს იმას ვაკეთებთ, რაც გვსურს.

- რა არის საჭირო ამ სტიგმის დასაძლევად?

- საჭიროა უამრავი საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება, სხვადასხვა ტრენინგ კურსის ჩატარება და ნება იმისა, რომ ყველამ შეძლოს იმ უფლებებით სარგებლობა, რაც მას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. მთავარი ისაა, რომ ამაში საზოგადოებასთან ერთად, სახელმწიფოც ჩაერთოს.

- თქვენ გაქვთ საშუალება, მიმართოთ იმ ადამიანებს, რომელთა მხრიდანაც გიგრძნიათ დისკრიმინაცია. რას ეტყოდით მათ?

- მოგესალმებით. მე ვარ ციცინო დავლაძე, თავსაფრიანი ქალი და მოგმართავთ მათ, ვინც სცადეთ ჩემი განაწყენება, დაკნინება, შებოჭვა. შეიძლება თქვენი ქმედებებით, დროთა განმავლობაში, როგორც ადამიანი, მომკლათ, მაგრამ ჩემს რწმენას ვერასდროს მოკლავთ. ეცადეთ, თქვენშიც იპოვოთ რწმენა, ღირებულისა და ერთადერთის. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავში სიკეთეს ვერ იპოვის, გვირაბის ბოლოს სინათლეს ვერასდროს დაინახავს.

„მე ვარ ციცინო დავლაძე, თავსაფრიანი ქალი და მოგმართავთ მათ, ვინც სცადეთ ჩემი განაწყენება, დაკნინება, შებოჭვა. შეიძლება თქვენი ქმედებებით, დროთა განმავლობაში, როგორც ადამიანი, მომკლათ, მაგრამ ჩემს რწმენას ვერასდროს მოკლავთ. ეცადეთ, თქვენშიც იპოვოთ რწმენა, ღირებულისა და ერთადერთის. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავში სიკეთეს ვერ იპოვის, გვირაბის ბოლოს სინათლეს ვერასდროს დაინახავს

რეპრესირებული

1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები - აჭარიდან

საბჭოთა რეჟიმმა, თავისი არსებობის ყველა ეტაპზე, სასტიკი რეპრესიები განახორციელა უდანაშაულო ადამიანების მიმართ. უსასტიკესი და უპრეცედენტო იყო 1937-1938 წლების რეპრესიები, რასაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მოტივაციად მოიაზრებოდა, თითქოს ისინი ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და კაპიტალიზმის აღდგენას, ეწეოდნენ პროპაგანდას ამ მიზნის მისაღწევად, ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას, ტერორისტულ აქტებს, სამშობლოს მოღალატეები იყვნენ და სხვა. ყველა ეს ბრალდება სიცრუე იყო

რეპრესირებულთა შორის იყვნენ ქალები, რომელთა დაპატიმრებისა და ტანჯვა-წამებისათვის გამოიყენებოდა არაადამიანური ფორმები და მეთოდები. რეპრესიების წესები, ფორმები და მეთოდები შეიმუშავეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (შინსახკომი) და პროკურატურამ. ამ მიმართებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნ. ეჟოვის 1937 წლის 18 აგვისტოს №00486 ბრძანება, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა. ამ ბრძანების თანახმად, აპატიმრებდნენ რეპრესირებულთა ცოლებს და 15 წელზე მეტი ასაკის შვილებს, ახლო ნათესავებს, რომელთა მიმართ შინსახკომის ორგანოებს ეჭვები ჰქონდათ ამ ადამიანების არასანდოობის შესახებ. ნ. ეჟოვის 1937 წლის 18 აგვისტოს ბრძანება (№00486) ავალებდა შინსახკომის ორგანოებს, შეეგროვებინათ მაკომპრომეტირებელი მასალები, 1936 წლის 1 აგვისტოდან მოყოლებული, რეპრესირებულთა ცოლებისა და ახლო ნათესავების მიმართ, შეექმნათ სათანადო აქტები მათი დაპატიმრებისა და დასჯის შესახებ.

აჭარაში, როგორც, საერთოდ, საქართველოში, 1937 წლის მეორე ნახევარში დაიწყეს რეპრესირებულ ადამიანთა ოჯახის წევრების, პირველ რიგში, ცოლების დაპატიმრება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოტივაციად მოიაზრებოდა, თითქოს ცოლებმა არ ამხილეს მათი ქმრების კონტრრევოლუციური, ანტისაბჭოთა საქმიანობა; იყვნენ თანამოაზრენი და თანამონაწილენი და ამ ადამიანებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს აანონსებდნენ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის. მათ მიმართ გამოიყენებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მძიმე მუხლები, რაც ითვალისწინებდა სასჯელს სამშობლოს ღალატის, აჯანყების მომზადებისა და განხორციელების მცდელობის, დანაშაულის დაფარვის, განუცხადებლობის, ჯაშუშობის, ტერორის, ანტისაბჭოთა პროპაგანდის და სხვა ბრალდებებით. ყველა ბრალდება, რომელიც წაუყენეს ადამიანებს, გაფორმებული იყო საერთო ტერმინებით: „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი“, „კონტრრევოლუციონერ-მემარჯვენე“, „მავნებელი“, „ჯაშუში“ და სხვა. ამ შეთითხნილი ბრალდებით აჭარაში 1937-1938 წლებში რეპრესირებული იყო ათობით მანდილოსანი. მათი ნაწილი დახვრიტეს, საპატიმროებში წამებით მოკლეს, სხვები გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეებში. სასჯელს იხდიდნენ საპატიმროებსა და შრომა-გასწორების ბანაკებში. უკიდურესად მძიმე, არაადამიანურ პირობებში არაერთი ქალი დაიღუპა, ცოცხლად გადარჩენილები, სასჯელის მოხდის შემდეგ, სამშობლოში დაუბრუნეს, მაგრამ ღონემიხდილნი და დაუძლურებულნი. ამასთან, დიდი ხნით აკრძალული ჰქონდათ საკუთარ კუთხეში ცხოვრება.

რეპრესირებული ქალები, პირობითად, შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს. პირველ კატეგორიაში შედიან სახელმწიფო ორგანოებში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში მომუშავენი, მეორე კატეგორიაში - სახელმწიფო ორგანოების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატში და საწარმოებში მომუშავე ხელმძღვანელი პირების ცოლები, მესამე კატეგორიაში - რიგითი მანდილოსნები, რომლებიც გამოთქვამდნენ გულისწყრომას, კულუარებში თუ საჯაროდ, უდანაშაულო ადამიანების რეპრესირების გამო.

სასჯელის მიხედვით, რაც ჯალათებმა დაადგინეს და განახორციელეს, რეპრესირებული მანდილოსნები ორ ჯგუფად იყოფა: პირველში შედიან დახვრეტილი ქალები, მეორეში - პატიმრობასა და გადასახლებაში მყოფნი. 1937-1938 წლებში აჭარიდან არაერთი უდანაშაულო მანდილოსანი გამოასალმეს სიცოცხლეს. მათ შორის არიან როგორც სახელმწიფო აპარატის მოხელეები, ისე განათლების, კულტურის, საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციებში მომუშავენი.

ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური საქმიანობის ფალსიფიცირებული ბრალდებით 1937 წლის 14 თებერვალს დააპატიმრეს და 18 თებერვალს ბათუმში დახვრიტეს ნაიმე სულეიმანის ასული კაკაბაძე. იგი დაბადებულია 1901 წელს ქ. სამსუნში (თურქეთი), ქობულეთელი მუჰაჯირის ოჯახში. სტამბოლის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა და პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო მის მიერ დაარსებულ აზერბაიჯანულ სკოლაში. ნ. კაკაბაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ-აზერბაიჯანული მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ნაიმეს და აზერბაიჯანში ცხოვრობდა და მათ შორის სისტემატური კავშირი არსებობდა. ამასთან, მნიშვნელოვანია მისი წვლილი აჭარელი ქალების კარჩაკეტილობის დაძლევაში, ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნებისათვის.

ნაიმე კაკაბაძის მიმართ ბრალდების მოტივაცია ისიც გახდა, რომ მისი ქმარი - ჰიქმეთ ჯევდეთ-ზადე, რომელიც ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი იყო, 1937 წელს დააპატიმრეს ტროცკისტულ-კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით და დახვრიტეს. მათ სამი შვილი ჰყავდათ (ევგენია, ფაზილე და თემური). მშობლების რეპრესირების შემდეგ მათ მძიმე ტანჯვა გადაიტანეს. ისინი ბებიასთან იზრდებოდნენ, მაგრამ 1944 წელს, ბებიასთან ერთად, გადაასახლეს ყირგიზეთში, სადაც უმძიმეს პირობებში იხდიდნენ სასჯელს. ამჟამად ნაიმე კაკაბაძე, მისი მეუღლე ჰიქმეთ ჯევდეთ-ზადე, მათი შვილები რეაბილიტირებულნი არიან დანაშაულის არარსებობის გამო (ნაიმეს შვილიშვილ სევილე კაკაბაძის ინფორმაცია, ჩაწერილია 2023 წლის 15 თებერვალს).

ოთარ თურმანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

(გაგრძელება იქნება)

ბათუმელი მოციგურავე, რომელმაც პარიზის საერთაშორისო ჩემპიონატზე საქართველოს ჰიმნი ააჟღერა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ახალგაზრდა, ნიჭიერი მოციგურავე ილია გოგიტიძე ბათუმში დაიბადა. ყინულზე სრიალი 4 წლის ასაკიდან დაიწყო და მას შემდეგ საქართველოს სახელით მრავალი საერთაშორისო შეჯიბრება აქვს მოგებული. 2019 წლიდან მისი ოჯახი საფრანგეთის ქალაქ მეცში გადავიდა საცხოვრებლად

ილია მაღალი დონის სპორტსმენად აღიარეს და უფლება მიეცა, ნაციონალური დონის შეჯიბრებებში მიეღო მონაწილეობა. შემდეგ მაღალი დონის კლუბიდან მიიღო შემოთავაზება, რომელიც ქალაქ ანსიში, ალპებში მდებარეობს. ოჯახი სხვა ქალაქში ვეღარ გადავიდოდა, ამიტომ, ილიამ მარტო წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. 18 წლისაა და უკვე სამი წელია, ანსის კლუბში ვარჯიშობს. სწავლობს ლიცეუმში და იქვე - საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, პარალელურად მუშაობს კიდეც. როგორც თავად გვითხრა, კლუბში ოჯახური გარემო აქვს, რაც მას ძალას აძლევს, ოჯახიდან შორს (700-800 კმ) მარტომ იბრძოლოს თავისი მიზნის მისაღწევად. ილია 2022 წელს ნოვისების (იუნიორთა და უფროსებს შორის, ანუ 18 წლის) ასაკობრივ კატეგორიაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა და ამას უფრო დიდი გამარჯვებები მოჰყვა: 2022 წლის საფრანგეთის ჩემპიონობა მოწინავეთა (იგივეა, რაც ნოვისები) კატეგორიაში ასპარეზობაზე; „ციგურაობის ოსტატები 2022 წ.“ - მე-2 ადგილი; შეჯიბრებაზე „ლაჟვარდოვანი სანაპიროს მეტროპოლი ნიცის მე-2 თასი“ - მე-2 ადგილი; „ანდორის 22-ე ღია ჩემპიონატზე“ - მე-3 ადგილი; „საფრანგეთის 2023 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე“ - მე-2 ადგილი; ტურნირზე „ციგურაობის ოსტატები 2023“ - მე-2 ადგილი; ასპარეზობაზე „იუნიორთა გრან პრი 2023“ ერევანში - მე-8 ადგილი; „ლაჟვარდოვანი სანაპიროს მეტროპოლი ნიცის თასი 2023“ - მე-2 ადგილი; 2024 წლის საფრანგეთის ჩემპიონატი იუნიორთა კატეგორიაში - მე-2 ადგილი... ეს ჩამონათვალი სრული არ არის. ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატებზე გასასვლელად ილიამ ძალიან ბევრი შიდა შეჯიბრება მოიგო, რამაც საშუალება მისცა, მონაწილეობა საფრანგეთის სახელით მიეღო.

მნიშვნელოვანია, რომ ილიას გადაეცა წლის საუკეთესო სპორტსმენის თასი 2022 და 2023 წლებში ეროვნული და საერთაშორისო დონის შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგებისთვის. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ჩემპიონატზე მე-2 ადგილის მოპოვების შემდეგ, ილია აირჩიეს 2024 წლის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილედ, რომელიც ტაივანში 26 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით გაიმართება.

ილიას და - მარია გოგიტიძეც საკმაოდ წარმატებულია. 3 წლის ასაკიდან ლათინურამერიკულ ცეკვებს ასრულებს. იგი აჭარის და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. საფრანგეთშიც არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო ჩემპიონატის გამარჯვებულია. მათ შორის საფრანგეთის სამგზის ვიცე-ჩემპიონი, საფრანგეთის თასის გამარჯვებული და 2023 წლის „ილ დე ფრანსის“ რეგიონის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულის მფლობელია. აღსანიშნავია, რომ მარია წელს მეოთხედ გახდა „ილ დე ფრანსის“ რეგიონის გამარჯვებული.

მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, ილია არ დაგვზარდა და ჩვენს კითხვებს საფრანგეთიდან უპასუხა.

- ილია, როგორც ვიცით, 4 წლისამ დაიწყეთ ყინულზე სრიალი. პირველი ემოციები როგორი იყო?

- კი, სრიალი 4 წლის ასაკში დავიწყე. ახალგახსნილი იყო ბათუმში ყინულის სასახლე და როცა ეს დედამ გაიგო, ყინულზე სრიალის სწავლა შემომთავაზა. მაშინ ამ სპორტზე არაფერი ვიცოდი, რატომღაც მეგონა, სრიალს ადვილად შევძლებდი და არც კი დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. მახსოვს, ციგურები ჩავიცვი, ბორტის კარი გამიღეს და როცა ყინულს დავხედე, შემეშინდა. დღეს სრიალი არ მინდა, არ შემოვალ-მეთქი, ხმამაღლა განვაცხადე და უკან გამოვბრუნდი. მთელი გზა ვტრაბახობდი, ისედაც ვიცი სრიალი-მეთქი (იცინის). დედა და მამა ბევრს მეხვეწნენ, დავბრუნებულიყავით, მაგრამ მტკიცედ ვიდექი ჩემს პოზიციაზე. სახლში ახალმისული, დედ-მამის დაღვრემილმა სახეებმა დამაფიქრა და აზრი შემაცვლევინა. მშობლებს ვუთხარი, სასწრაფოდ დავბრუნდეთ, ყინულზე უნდა შევიდე, სრიალი არ ვიცი (გამოვტყდი), მაგრამ ვისწავლი-მეთქი. ასე შევედი და შევრჩი.

- ყველაზე რთული დასაძლევი რა იყო?

- სპორტული მზადება რომ იწყება, ყველა ელემენტი რთული დასაძლევია. განსაკუთრებით გამამწარა ტრიალმა, რომელსაც „ვალჩოკს“ ვეძახით. ტრიალს აკეთებ ცალ ფეხზე ჩაჯდომით. ვჯდებოდი, მაგრამ ვეღარ ვდგებოდი (იცინის).

- საკმაოდ ბევრი ჯილდო გაქვთ. რომელი ჩემპიონატი იყო ყველაზე გამორჩეული და რატომ?

- ყველაზე განსაკუთრებული და ემოციური პარიზის 2018 წლის საერთაშორისო ჩემპიონატი იყო, სადაც, მართლაც, ძალიან კარგად შევასრულე ჩემი პროგრამა. საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები მეჯიბრებოდნენ, მათ შორის ფრანგები და მე მათივე მოედანზე მოვუგე. ეს მოგება ფრანგმა მსაჯებმა მარგუნეს, ძალიან ობიექტურები იყვნენ. დაჯილდოებისას, როცა ქართული ჰიმნი ჩაირთო, იმდენად მოულოდნელი იყო, სიხარულისგან ტირილი მინდოდა. გულზე ხელი რომ დავიდე, იმ წუთებში თავი გმირი მეგონა. არ ვამეტებ, ძალიან მიხაროდა და ამაყი ვიყავი, რომ საქართველოს ჰიმნი მე ავაჟღერე. ამ დღეს შემოყვარდა საფრანგეთიც და ფრანგი ხალხიც.

- საფრანგეთზე მოგვიყევით, როგორია თქვენი ყოველდღიურობა?

- გააჩნია, რა ამოცანა მაქვს დასახული. ძირითადად, დროს ვარჯიშში ვატარებ. ლიცეუმიც დღის ნაწილია, შეძლებისდაგვარად. ცოტ-ცოტას ვმუშაობ კიდეც. პარალელურად პროფესიულ კვალიფიკაციასაც ვიმაღლებ. უკვე მაქვს მწვრთნელის გარკვეული ხარისხის დიპლომი. ბავშვობაში ვამტკიცებდი - დღე ცოტაა ადამიანისთვის-მეთქი, ახლაც ამ აზრზე ვარ.

- თავისუფალ დროს რითი ერთობით?

- თავისუფალი დრო... როგორ მენატრება (იცინის). ფაქტობრივად, არც ბავშვობაში მქონია და არც ახლა მაქვს, მაგრამ თუ მაინც გამომიჩნდა, შეიძლება კინოში შევისეირნო. თუ ეს დრო 2 დღეზე მეტია, შეიძლება ჩემს ოჯახთან მეცში ჩავიდე. გაზაფხულზე კლუბი მიშვებს ცოტა ხნით და ჩემს მონატრებულ ბათუმში, ბებია-ბაბუასა და ოჯახის წევრებთან ვგეგმავ ჩასვლას, ძალიან მიხარია.

- ენის ბარიერს როგორ გაუმკლავდით?

- ბარიერი, სიმართლე გითხრათ, არ მქონია. როგორც კი საფრანგეთში ჩამოვედი, ჩვენი მეგობარი ფრანგების ოჯახში ვცხოვრობდი, სადაც თითქმის ყველა ინგლისურად საუბრობდა. მეც კარგად ვიცოდი ინგლისური. შემდეგ მათთან ურთიერთობაში ფრანგულიც ძალიან კარგად ვისწავლეთ მეც და ჩემმა და-ძმამაც. თუ არ ვთქვით, რომ ფრანგები არ ვართ, საუბრისას ამას ვერავინ ხვდება. როცა საფრანგეთის სახელით გადავწყვიტე ასპარეზობა, თავიდანვე აუცილებელ პირობად ვაქციე, რომ ფრანგული ენა ძალიან კარგად მესწავლა და მგონი შევძელი კიდეც.

- წყვილში სრიალზე არ გიფიქრიათ?

- აღრე ეს არ მხიბლავდა და არც მქონია პირდაპირი შეხება. საქართველოში წყვილში სრიალი არ არსებობდა. თან გააზრებული მქონდა წყვილში სრიალის პასუხისმგებლობა, რისკები... ძნელია ერთი დონის მეწყვილის პოვნაც. წყვილი უნდა შედგეს, რომ შედეგი დაიდოს, ეს ჩემი დის გამოცდილებიდან ვიცი - წყვილში ცეკვავს, ოღონდ... სპორტულ ცეკვებს. ყოველთვის მერჩივნა, საკუთარ შედეგზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მე ამეღო, თუმცა, სიმართლე გითხრათ, რაც საფრანგეთში ვარ, ხშირად გვიწევს წყვილებთან შეხება - ვარჯიშებზე, შეკრებებსა თუ შეჯიბრებებზე, ძალიან მხიბლავს... და მაინც, ამ ეტაპზე ერთეულებში ყოფნას ვამჯობინებ, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

- ფიგურული ციგურაობა რომ არა, კიდევ რომელ სფეროში ცდიდით საკუთარ თავს?

- პატარა რომ ვიყავი, ქიმია მიტაცებდა ძალიან. სულ კოლბებით ვთამაშობდი, ვამბობდი, მეცნიერი უნდა გამოვიდე-მეთქი. რატომღაც კრიმინოლოგიას ვგულისხმობდი. ალბათ ჩემს საყვარელ სუპერგმირ „ფლეშის“



საქმიანობა რომ იყო, იმიტომ... მაგრამ დედამ არ მაცალა (იცინის). სიმართლე გითხრათ, არ ვიცი და ვერც წარმომიდგენია, ყინულის გარდა სად შეიძლება ვყოფილიყავი, ალბათ, ქართულ ცეკვებში. ვსწავლობდი ერთ დროს და ძალიან მიყვარდა... სცენა, მაყურებელი... ისევ აქ ვიქნებოდი, მიყვარს ეს გარემო და ამიტომ.

- 10 წლის შემდეგ როგორ წარმოგიდგენია საკუთარი ცხოვრება?

- დიდად არ მიყვარს შორეულ პერსპექტივებზე საუბარი, რადგან არაფერი დამიგეგმავს 10 წლით ადრე (იცინის). რთულია, ამ შეკითხვაზე პასუხი, თუმცა ერთს ვიტყვი, ახლა სადაც ვარ, ძალიან მომწონს და ბედნიერად ვგრძნობ თავს სწორედ აქ ყოფნით, ასე რომ, არც 10 წლის შემდეგ მინდა აქედან შორს ყოფნა. ეს კლუბი და მწვრთნელები ჩემი მეორე ოჯახია. 10 წლის მერეც, როგორც დღეს, თავს მათ გვერდით ვხედავ, ისევ ყინულზე, ოღონდ - ქორეოგრაფიის განხრით.

ბათუმში, 3 სხვადასხვა მისამართზე, მემორიალური დაფები განთავსდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გუშინ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის პირველი სხდომა გაიმართა, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს ბათუმში, სამ სხვადასხვა მისამართზე, მემორიალური დაფების განთავსების საკითხი, რასაც საკრებულოს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა

ბათუმში, იმედაშვილის ქ. №22-ში მდებარე სახლზე დუგლას ზამთარაძის მემორიალური დაფა განთავსდება. დუგლას ზამთარაძე საქართველოს არქიტექტორთა კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ქვეყნის დამსახურებული არქიტექტორი გახლდათ. მიღებული ჰქონდა უმაღლესი ჯილდო - „საქართველოს არქიტექტურის რაინდი“. ის, ასევე, იყო ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. 1963 წლიდან თანაავტორებთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო ცენტრების, ასევე, საცხოვრებელ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაგეგმარებაზე მუშაობდა. მათ შორის აღსანიშნავია ბათუმის დელფინარიუმი (1965 წ.), სამხატვრო ტექნიკუმი (1967 წ.). 1964 წლიდან მუშაობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტში“, ბათუმში სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში; 1989-1992 წწ იყო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი; 1992-1998 წწ - ამავე ორგანიზაციის დირექტორი; 1998 წლიდან - შპს „გონის“ და შპს „დ. ინტერპროექტის“ დირექტორი.

მუსტაფა ჩახვაძის მემორიალური დაფა განთავსდება ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. №53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე. 1937 წლის ოქტომბერში ფალსიფიცირებული ბრალდებით დაპატიმრებული მაშინდელი საქალქო აღმასკომის თავმჯდომარე და აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი მუსტაფა იუსუფის ძე ჩახვაძე იყო გამორჩეული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. წლების განმავლობაში მუშაობდა არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მისი დაპატიმრების გამო რეპრესიები შეეხო ოჯახსაც. 1956 წელს მუსტაფა ჩახვაძე რეაბილიტირებული იქნა. იგი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფა ბათუმში, რუსთაველის ქ. №10-ში მდებარე სახლზე განთავსდება. ექიმი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი რამაზ სურმანიძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე იგი ბერად აღიკვეცა და ბერ-მონაზონი ანდრია ეწოდა. იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, ასევე, იყო აჭარის ჯანდაცვის მინისტრი, მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ბათუმის საკრებულოს წევრი. რამაზ სურმანიძე არაერთი ისტორიული, პუბლიცისტური, სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მას ეკუთვნის წიგნი „1937 წლების ტრაგედია ბათუმში“, სადაც 640 რეპრესირებული ადამიანის შესახებ ცნობები და ფოტომასალა აქვს მოძიებული. რამაზ სურმანიძე იყო საქართველოს და აჭარის დამსახურებულთ ექიმი, ღირსების ორდენოსანი, მინიჭებული ჰქონდა ტბელ აბუსერისძის, ილია ჭავჭავაძის და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები. იყო „საპატიო ბათუმელი“ და „საპატიო შუახეველი“.

ტრენინგკურსი - გერმანიაში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ტრენინგკურს „საერთაშორისო სასტუმროს მენეჯმენტის“ წარმატებით გავლის შემდეგ, სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, გერმანიაში, ქალაქ ბერლინში ერთი კვირით გაემგზავრნენ. მათთვის დაგეგმილი მიზნობრივი პროგრამა მოიცავს საინფორმაციო შეხვედრებსა და ვიზიტებს კონცეპტუალურ სასტუმროებში (hotel 25hours, Catering Company L & D GmbH, Nok Akt in Father Graham, Hotel Scandic), რომლის ფარგლებშიც, სასტუმროს წარმომადგენლები სტუდენტებს გააცნობენ მასპინძლობის ინდუსტრიის მუშაობის თანამედროვე სტანდარტებს, ტენდენციებსა და გამოწვევებს.

პროგრამა ასევე მოიცავს პრეზენტაციებს, დისკუსიებსა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაცნობას ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში.

სტაჟირების რიგით მეოთხე პროგრამა განხორციელდა მასპინძლობის ინდუსტრიის გერმანელი ექსპერტის, ბსუ-ის საპატიო დოქტორის, პროფესორ შტეფან გერჰარდის ორგანიზებით და აჭარის მთავრობისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

საკადრო ცვლილებები მთავრობაში - რას ფიქრობენ პოლიტიკოსები?

მე-3 გვერდიდან

აი, ამ ადამიანებს ეუბნება, რომ პარტიას უხელმძღვანელებს უკვე ყოფილი პრემიერი, ვინც თავისი შვილის ერთ გადაფრენაში ასიათასობით ლარი გადაიხადა ასეთ გაუბედურებულ ქვეყანაში, თუმცა აქვე დავძენ, რომ მმართველ პარტიაში განხორციელებული არცერთი ცვლილება აქტუალური აღარაა, რადგან შემოდგომაზე არჩევნებში ენმ (გამარჯვების კოალიცია) ქართველ ხალხთან ერთად დამაჯერებლად გავიმარჯვებთ.

არჩილ ბერიძე, „ლელოს“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი:

- ივანიშვილის პოლიტიკაში „მობრუნებისთანავე“ კითხვაზე - შეიცვლებოდა თუ არა პრემიერი, მან უპასუხა, რომ არა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ესეც მორიგი ტყუილი იყო მისი მხრიდან. ბოლო პერიოდში, ფაქტია, ივანიშვილს „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები არ მოსწონდა და ძალაუფლების შემცირების შიშმა აიძულა, უკან დაბრუნებულიყო და ცვლილებები განეხორციელებინა. რაც შეეხება უშუალოდ პრემიერის ცვლილებას, მგონია, ეს კობახიძის პარტიული „გავლენების“ შესამცირებლად გააკეთა, თანაც ღარიბაშვილს „დაუფასა“ უსიტყვოდ დავალებების შესრულება. კობახიძის პრემიერობით, ერთი მხრივ, იზრდება მისი უფლება-მოვალეობები, მაგრამ, მეორე მხრივ, ის უშუალოდ პარტიაში მიმდინარე პროცესებს ჩამოშორდება, რაც მის ამბიციებს - იმოქმედოს ბიძინასგან დამოუკიდებლად, ჩანასახშივე მოსპობს. ღარიბაშვილის პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნით ივანიშვილმა დაადასტურა, რომ ღარიბაშვილი მის დავალებებს უსიტყვოდ ასრულებს და ყველა სიტყვასა და მოქმედებას ივანიშვილს შეუთანხმებს.

ირაკლი ჭეიშვილი, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:

- საქართველოს ისტორიაში ირაკლი ღარიბაშვილი იყო საუკეთესო პრემიერ-მინისტრი. თავად ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ 5 წელი იყო პრემიერი და ამიტომ თავად ჩათვალა საკმარისად საკუთარი მოღვაწეობა ამ რანგში. მოდის არჩევნები, იქნება ახალი მთავრობა, ახალი პრემიერ-მინისტრი, შესაბამისად, იქნება ახალი გამოწვევები და ახალი გუნდით შევხვდებით საარჩევნო პროცესს. რაც შეეხება ირაკლი კობახიძის პრემიერობას, ვიტყვი, რომ ეს ადამიანი ძალიან გამოცდილია და ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი პრემიერი იქნება, რადგან მან კარგად გამოავლიონა საკუთარი უნარები.

ხსოვნა

ლალი აბდუშელიძე

გარდაიცვალა ბათუმის №14 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი ლალი აბდუშელიძე.

იგი ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭეშმარიტი მოძღვარი გახლდათ და 90-იანი წლებიდან მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მუდამ სიახლის მაძიებელი, სასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებათა სულისჩამდგმელი, თავდაუზოგადავად მზრუნველი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული - ასეთი ახსოვთ ლალი მასწავლებელი თაობებს.

ის იყო კოორდინატორი, რომელმაც მოსწავლეებსა და პედკოლექტივთან ერთად სკოლის საოცარი ისტორია შექმნა. ზურაბ გორგილაძე, ფრიდონ ხალვაში, ოთარ კობერიძე - აი, არასრული ნუსხა იმ ცოცხალი თუ მზეგადასული ლეგენდებისა, რომლებთან შეხვედრის უდიდესი ბედნიერება მიანიჭა მან სკოლის მოსწავლეებსა თუ მასწავლებლებს.

ლალი მასწავლებელი არაერთი პროექტის ავტორი და სულისჩამდგმელი იყო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ისწავლეს თაობებმა ბუნების მოვლა, სიყვარული, ტოლერანტობა, გულმოწყალება, მიმღებლობა, სამართლიანობა, კრიტიკული აზროვნება.

სკოლის მასწავლებლები დღესაც იგონებენ ვიზიტებს პარლამენტში, სათნოების სახლში, სასამართლოში, უმაღლეს საბჭოში, მერიაში, საპატიმროსა თუ სარეაბილიტაციო ცენტრებში, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებსა თუ ბენეფიციარებთან მათი გამოცდილების გასაზიარებლად. შეუძლებელია, სრულყოფილად ჩამოვთვალოთ ყველა ის აქტივობა, რითაც ქალბატონი ლალი ანებივრებდა სკოლის მოსწავლეებსა და პედკოლექტივს, რისთვისაც არაერთი დამსახურებული ჯილდო და აღიარება მიუღია. სამწუხაროდ, თან გაჰყვა ოცნება აფხაზი და ქართველი ბავშვების დამეგობრებისა.

სკოლა ემშვიდობება საყვარელ პედაგოგს, მეგობარს, კეთილშობილ ქალბატონს, რომლის ღვაწლი ფასდაუდებელია მე-14 საჯარო სკოლისთვის.

ბათუმის №14 საჯარო სკოლის პედკოლექტივი

შპს „გაზეთ აჭარისა და ადჟარიას“ კოლექტივი თანაუგრძნობს ლოლა ტუმასიანს მამის

გიორგი ლევანის ძე ტუმასიანის

გარდაცვალების გამო.

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 1/02/24, 19 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„გოგლაურა“ და... მეგობრები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ეს ტრიო არც ისე დიდი ხანია, რაც შეიქმნა, მაგრამ უკვე შეაყვარა თავი ბათუმს და ბათუმელებს. „გოგლაურას“ წარდგენა ბათუმის ხელოვნების ცენტრში რამდენიმე დღის წინ ფართო მასშტაბით უნდა შემდგარიყო სალონურ შეხვედრაზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“. ბატონი ვახტანგი მოვიდა კიდეც შეხვედრაზე, მაგრამ სულ რამდენიმე წუთით, თავისებურად მოეფერა ბიჭებს ორწუთიანი სიტყვით და მასპინძლობა მათვე გადააბარა იმ მიზეზით, რომელიც ყველამ კარგად ვიცით (მისი ძმა - მამა ნიკოლოზი, რომელიც ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ეზოში დაკრძალეს, სულ ახლახან გააცილა ქალაქმა უკანასკნელ გზაზე).

როგორც ბატონმა ვახტანგმა თქვა, ეს სამი მომღერალი, რომელიც ახლა ტრიოს სახით გამოდის, დიდი ხანია, ცალ-ცალკე შემდგარი, ბათუმელებისთვის ძალიან გამორჩეული და საყვარელი მომღერალია - ორი სულხან დევაძე („სუსტი“ და შედარებით „პუტკუნა“ - ხუმრობით თავადვე გვითხრეს ასე) და ირაკლი სირაბიძე, რომელიც „გოგლაურას“ ერთადერთი უცვლელი წევრია.

- მოსაწვევ ბარათს „სალონური შეხვედრა „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ აწერია და არ შემეძლო, ორი წუთით მაინც არ მოვსულიყავი და არ წარმედგინა ტრიო, რომელსაც ყველა კარგად იცნობს. ეს ბიჭები ძალიან ნიჭიერები არიან და მათგან ბევრ მუსიკალურ სიახლეს უნდა ველოდოთ. ისინი ცალ-ცალკეც ძალიან ძლიერები არიან მუსიკალურ სფეროში და ერთადაც შესანიშნავად მოახერხეს ლამაზი ჰარმონიის შექმნა. წარმატებას ვუსურვებ მათ და საღამოს წაყვანას სულხანს ვანდობ, კარგ ბათუმელს, - გვითხრა ბატონმა ვახტანგმა.

ტრიოს ერთი წევრი - ირაკლი სირაბიძე ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო პრეზენტაციას და მსმენელს მასპინძლობა დუეტმა - ორი სულხანისა და ორივე დევაძის შემადგენლობით გაუწია.

... სულხანმა („სუსტმა“) შეგვახსენა „გოგლაურას“ დაარსების ისტორია. დევაძეების შემდგარმა დუეტმა, ინდივიდუალურად და ერთადაც, ქართველი კომპოზიტორების არაერთი სიმღერა შემოგვთავაზეს. შეხვედრაზე მოსული მსმენელი და სცენაზე მდგომი მომღერლები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, რამაც საღამოს ძალიან მეგობრულ ვითარებაში წარმართვა განაპირობა. ამას მათი მეგობრის, ახალგაზრდა ხელოვან ნონა დიასამიძის, ასევე, მაიკო სალუქვაძის შესანიშნავი აკომპანიატორობა დაემატა და მიუხედავად იმისა, რომ „გოგლაურა“ მსმენელის წინაშე სრულყოფილად ვერ წარსდგა, საღამო მაინც საინტერესოდ წარიმართა.

- თუ მეგობრობა, სიყვარული არ არის, კარგად არაფერი გამოვა. პირველ რიგში, ჩვენ სწორედ მეგობრობამ გაგვაერთიანა. თავიდან ეს ჯგუფი კვარტეტიც კი იყო და მასში სხვები მღეროდნენ. იმ ბიჭებთან დღეს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. რაც შეეხება დღევანდელ შემადგენლობას, ირაკლი სირაბიძესთან დიდი ხანია ვმეგობრობთ და სხვადასხვა ღონისძიებაზე გამოვდიოდით ერთად. ერთ დღეს მთხოვა, კაცი გვაკლია და გვერდით ხომ არ დაგვიდგებიო (გიტარის თანხლებით). რა თქმა უნდა, დავუდექი. მაშინ მეორე სულხანი ჩვენთან ერთად არ იყო. მომეწონა ეს საქმე, ტაში რომ დაგვიკრეს, მით უფრო. მერე სიმღერაც გავბედე... ადრე მხოლოდ რამდენიმე კაცის გარემოცვაში თუ ვიმღერებდი. მეორე სულხანი ბავშვობიდან მღერის. ამ შემადგენლობით რომ გავერთიანებულიყავით, ეს აზრი ექვსი წლის წინ დაგვებადა. მერე ნონა დიასამიძე გავიცანით და... როცა მეგობრებთან ერთად მღერი სუფრასთან, ეს სხვაა, მაგრამ როცა ფართო აუდიტორიის წინაშე გამოდიხარ, ეს, რა თქმა უნდა, სულ სხვა პასუხისმგებლობაა. ბათუმის საზოგადოებამ სიყვარულით მიგვიღო, ჩაგვიხუტა, რაც ძალიან გვახარებს, - გვითხრა სულხან დევაძემ.

საღამოზე ითქვა, რომ სახელწოდება „გოგლაურა“ ტრიოს მუსიკოსმა ირაკლი შარაძემ შეარჩია. თითქმის ყველა ახსენეს, ვინც „გოგლაურაში“ სხვადასხვა დროს მღეროდა. „არავინ ვიქნებოდით, რომ არა ბათუმი და ჩვენი ბათუმელი მეგობრები, ყველა იმ ადამიანის მადლიერნი ვართ, ვინც უსმენს ჩვენს სიმღერას“, - თქვეს ბიჭებმა.

არაერთხელ მოგვისმენია „გოგლაურასთვის“. ეს არის ტრიო, ულამაზესი ხმებით, იმ მომღერალი ბიჭებით, სითბოს რომ აფრქვევენ სცენიდან. სხვათა შორის, თავის დროზე, სულხან დევაძის „საქართველოს ვარსკვლავის“ შესარჩევ ტურში შესრულებულმა სიმღერამ ერთ კვირაში სამ მილიონ ნახვაზე მეტი დააგროვა. ეს არ არის უბრალო ფაქტი.

მისი შთაგონების წყარო ღმერთი და საკუთარი თავის რწმენაა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

დღევანდელი ბლიცინტერვიუს გმირი 32 წლის ბათუმელი თვითნასწავლი მხატვარი რომა ყაჭეიშვილია. მან ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის 2-წლიანი სამხატვრო სკოლა 2012 წელს დაამთავრა. ნახატებს, ძირითადად, ფანქრით ან ნახშირით ასრულებს. როგორც თავად გვითხრა, სამომავლოდ პერსონალურ გამოფენას გეგმავს

- რა ასაკიდან დაიწყეთ ხატვა და რას ნიშნავს თქვენთვის იგი?

- ღმერთმა მომცა ეს ნიჭი, ხატვა სიცოცხლეა. ქაღალდზე ფანქრით ვხატავ და რასაც ვქმნი, თითქოს სულს ვბერავ, ცოცხალია და მარადიულია, არასოდეს გაქრება. ადრეული ბავშვობიდან ვხატავ, 4-5 წლიდან.

- საკმაოდ საინტერესო ნამუშევრები გაქვთ, რა არის თქვენი შთაგონების წყარო?

- ღმერთი და საკუთარი თავის რწმენა, ასევე, ადამიანები, თავისი ცხოვრებით და ქმედებებით.

- თქვენი ნამუშევრების გამოფენაზე თუ გიფიქრიათ?

- მიფიქრია და ახლო მომავალში მინდა პერსონალური გამოფენის მოწყობა.

- ოჯახის წევრებიდან ვინმე თუ ხატავდა?



- ოჯახის წევრებიდან მამა ხატავდა. გენეტიკურად ალბათ მისგან მერგო ეს ნიჭი და ხატვისადმი სიყვარული.

- რომელ მასალას ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?

- „faber-castell“-ის ფანქრებით ვმუშაობ, ხარისხიანია. ისინი მეხმარება, რომ ნახატი სრულყოფილი გამოვიდეს.

- რომელიმე ნამუშევარი თუ გიყვართ გამორჩეულად?

- თითოეული ნახატი მიყვარს. ვერ გამოვარჩევ. ყველა ერთმანეთზე უკეთესია ჩემთვის.

- მუშაობის სტიმულს რა გაძლევთ, საიდან ჩნდება მუზა?

- სიცოცხლე, საკუთარი თავის რწმენა, განსაცდელი და ბედნიერება. ეს არის ჩემი მუშაობის სტიმული და მუზაც.

- ხატვისას უსმენთ რამეს თუ სიჩუმეში გირჩევნიათ მუშაობა?

- კი, მუსიკას ვუსმენ.

- თუ გაგიყიდიათ ან გაგიჩუქებიათ საკუთარი ნამუშევარი?

- რამდენიმე გავყიდე მიზერულ ფასში, გაჩუქებით კი ბევრი გამიჩუქებია, ბავშობაშიც და ახლაც. ძირითადად, მეგობრებს ვჩუქნი. მსიამოვნებს, ჩემს ნახატებს მეგობრების სახლების კედლებზე რომ ვხედავ.

- ქართველი ხელოვანებიდან განსაკუთრებით ვის შემოქმედებას აფასებთ?

- ჟანრი ლოლაშვილს - ნიჭიერი მხატვარი და მსახიობია.

- ყოფილხართ თუ არა რომელიმე მხატვრის გავლენის ქვეშ?

- მხატვარი ოლეგ ტრეფიმოვი ჩემი მეგობარია, ბევრი საინტერესო რჩევა გამითვალისწინებია მისგან როგორც მხატვრობაში, ასევე, ცხოვრებაში.

- რას ურჩევდით ახალგაზრდებს, რომლებიც ფერმწერის გზას ირჩევენ?

- ვურჩევდი, დიდი დრო დაუთმონ ხატვას, არასოდეს გაჩერდნენ, ყოველთვის ხატონ.

- რის გაკეთებას გეგმავთ მომავალში?

- მინდა დავაგროვო ფანქარში, ასევე, ფერში შესრულებული ნამუშევრები და პერსონალური გამოფენა მოვაწყო.

„შეიყვარეთ წიგნები“

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

„შეიყვარეთ წიგნები“ - ამ სლოგანით ჩატარდა შუახევის რაიონულ ბიბლიოთეკაში ღონისძიება, რომელიც წიგნის კითხვის მსოფლიო დღეს მიეძღვნა

წიგნის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს მწერლებმა ვახტანგ გოგრაჭაძემ, მიხეილ დავითაძემ, პოეტმა ფრიდონ დავითაძემ, კულტურის ცენტრის დირექტორმა მაია დავითაძემ, ბიბლიოთეკარებმა მზია დავითაძემ, მერი თავდგირიძემ, მკითხველმა ზვიად ფუტკარაძემ.

გაიმართა დისპუტი თემაზე: „რა ვიცით ქართული და უცხოური ლიტერატურისა და კულტურის შესახებ“.

შუახევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს გალაკტიონ ტაბიძის, შოთა და ზურაბ ზოიძეების, მიხეილ დავითაძისა და სხვა პოეტების ლექსები, მათზე მოგონებები.

შუახევის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელებმა აქტიური მკითხველები და მოსწავლეები წიგნებით დაასაჩუქრეს.

- ამ და სხვა ღონისძიებების მიზანია რაიონულ და სოფლებში არსებულ ბიბლიოთეკებში მკითხველები მოვიზიდოთ. განსაკუთრებული მუშაობა ახალგაზრდობასთანაა საჭირო. გაიზარდა წიგნებთან დაშორების ტენდენცია, - გვითხრა კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილემ, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ.